3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები,წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები შემუშავებული მასწავლებლებისთვის, რომელიც რეგულირდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულეებით. ასევე სკოლაში მართვის პროცესები რეგულირდება შესაბამისი სტუქტურული ერთეულების კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით და ას სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. სკოლის მასწავლებელთან შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში რომელიმე სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადდთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე. სკოლის სხვა პერსონალიც შეირჩევა კონკურსის წესით. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დასაქმებულზე ან დროებით მოწვეულ პირზე. ეს პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, რაც დასტურდება სკოლის მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებული კონკურსების შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლაში მასწავლებლის მიღება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის #174/ ნ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების შესაბამისად. ასევე სხვა პოზიციებზეც კონკურსის წესით ხდება კადრების შერჩევა. მასწავლებელთა პირად საქმეებში სხვა სავალდებულო დოკუმენტენთან ერთად, არის ცნობებიც ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლების დასაქმებასთან დაკავშირებული პროცესები დარეგულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა გათვალისწინებით და სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება:

   ა)უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

   ბ) წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

   გ) მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება.

   დ) სპეც. მასწავლებელი

შრომით ხელშეკრულებებში ასახულია სტატუსის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. კანონით და შიდა სასკოლო რეგულაციებით გათვალისწინებული კვალიფიკაცია უდასტურდებათ სკოლის სხვა თანამშრომლებსაც, ექიმი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი და სხვა. **შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

5. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სრტუქტურული ორგანოების ოქმებით. სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც, შესაბამის კომისიებში. **შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

6. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის თანამშრომლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ წარმატების აღიარება მნიშვნელოვანია მათთვის და სასკოლო საზოგადოების განვითარებისათვის. სკოლის შინაგანაწესში გაწერლია წარმატების აღიარების და დაჯილდოების მექანიზმები. ხდება წარმატებული მოსწავლეებისა და მასწავლებლების სიგელებით დაჯილდოება. კათედრები ხელს უწყობენ მასწავლებელთა გუნდურ მუშაობას, აქტიურია „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი; მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აფასებენ და აკეთებენ უკუკავშირს წახალისებისთვის. სკოლის სამი მასწავლებელი უკვე მეოთხე წელია ჩართულია USAID-ის საბაზო განათლების პროექტში. ესწრებიან ლიდერ მასწავლებელთა შეხვედრებს , ამ შეხვედრების შემდეგ პროექტში ჩართული მასწავლებლები მართავენ შეხვედრებს დაწყებითი საფეხურის ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლებთან, გამოცდილების გაზიარების მიზნით ტარდება სარეკომენდაციო გაკვეთილები, რომელიც იხილება მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფებში და USAID-ის მომდევნო შეხვედრებზე, კეთდება უკუკავშირი და შეფასება. კარგი გამოცდილება მიიღო სკოლამ „ახალი სკოლის მოდელში"



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ჩართულობით. მასწავლებლები ყოველწლიურად უზიარებენ გამოცდილებას კოლეგებს რაიონულ კონფერენციებზე, რისთვისაც სკოლას გადაეცა სერთიფიკატები. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი -
2. შინაგანაწესი -
3. შრომითი ხელშეკრულებები -
4. პერსონალის შერჩევა/დანიშვნის პროცესის (ვაკანსიის პაკეტი) მასალები -
5. პერსონალის პირადი საქმეები ;
6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგალითად ექთნის) - დანართი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემა. მასწავლებეთა საჭიროების დასადგენად აქვს შემუშავებული თვითშეფასების კითხვარი, რომელსაც ავსებენ სასწავლო წლის ბოლოს, ამ პროცესს თანამშრომლები აღიქვამენ, როგორც განვითარების უწყვეტ და ყოველდღიურ პროცესს. მომდევნო სასწავლო წლისათვის თითოელმა მათგანმა იცის, რა მიმართულებით უნადა ჩაერთოს სავალდებულო ტრენინგებში, რომელსაც მასწავლებელთა სახლი ატარებს. ამასთან, მასწავლებელთა დიდი ნაწილი მონაწილეობს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. მათემატიკის მასწავლებელი სისტემატურად ისმენს ,,etwinnig"-ის ტრენინგ-კურსს , არის საგანმანათლებლო ორგანიზაციის ,,key consulting" კლუბის წევრი და ყოველ თვეში ესწრება ტრენინგებს, უცხო ენის მასწავლებლებმა მონაწილეომა მიიღეს მასწავლებელთა გლობალურ ფესტივალში "Macmilan Education" . ჩართული არიან Minecraft-ის საგანმანათლებლო საპილოტე პროგრამაში., დაწყებითი კლასების მასწავლებელი ჩაერთო პროფესიონალ ფსიქოლოგთა და პედაგოგთა ასოციაციი მიერ დაგეგმილ ტრენინგ-კურსში საგანში"მე და საზოგადოება", საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „გარემოსდაცვითი და აგრარული

განათლება სკოლაში“ და სხვა. სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. რომელიც არის გამჭვირვალე და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი პერსონალისთვის, რაც გამოიკვეთა მათთან ინტერვიუს დროს. თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს შეფასება ხორციელდება მათი პროფესიული განვითარებისთვის და წინსვლისთვის. .მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება-შფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებილი აქვს დამრიგებლის, კათედრების საქმიანობის, მასწავლებლის შეფასების კითხვარები. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა სკოლის ბაზაზე წარმოდგენილია კათედრების გეგმებში. ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მნიშნელოვან ნაწილად. სკოლა სისტემატიურედ აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მასწავლებლები სკოლის ბაზაზე და სკოლის გარეშე არსებული სერვისებითაც ინტერესდებიან. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საჭიროებების მიხედვით მასწავლებლები გუნდურად ერთვებიან ტრენინგებში, ეს პრაქტიკა უფრო ეფექტურია, ასე მაგალითად ტრენინგკურსი „თანამედროვე მეთოდები სწავლებაში

გაიარა ერთობლივად 4 მასწავლებელმა (ქართულის სწავლება I – IV კლასებში სამმა მასწავლებელმა, „აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში სასწავლო პროცესში“ ორმა მასწავლებელმა. მასწავლებელთა გუნდურობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კათედრების მუშაობის მაგალითზე, რომლებიც თითქმის ყოველდღიური მუშაობის რეჟიმში არიან ჩართული. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხდება ურთიერთსწავლებით, შეხვედრებით, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით. სკოლას ნაკლები ყურადღება ჰქონდა გამახვილებული სხვა პერსონალის საჭიროებების დადგენაზე და მის საფუძველზე გეგმის შედგენაზე, ამიტომ რჩევა მიეცა მეტად დაუთმოს ყურადღება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებას. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; აღნიშნულ პროცესებს მასწავლებლებთან მიმართებით არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა” და სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება, რომელიც შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დებულებაში გაწერილია ხარისიხს მართვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების წესები და პროცედურები, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების ინსტრუმენტები, ანგარიშის, თვითშეფასების, უკუკავშირის ფორმები და ა.შ. მიმდინარე წელს სტატუსი აიმაღლა 6 მასწავლებელმა. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

4. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით, სკოლის დირექცია წარადგენს მას სკოლის პედსაბჭოზე ან თათბირზე. სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს და ხელს უწყობს ახალ კადრს სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის და გაცნობის მიზნით. მაგრამ კარგი იქნება, თუ გამოყოფილი იქნება კონკრეტული პასუხისმგებელი პირი და გაწერილი ინტეგრაციის მექანიზმი. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა ინიციატივების წახალისებას. მასწავლებლები თუ საკუთარი ინიციატივით ერთვებიან სხვადასხვა პროექტებში ან ტრენინგებზე, მათ სკოლისგან მაქსიმალური ხელშეწყობა აქვთ. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა წარმატების შეფასების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ყოველწლიურად ფასდებიან მასწავლებლები სასწავლო წლის ბოლოს, გასულ სასწავლო წელს წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება მიენიჭა სამ მასწავლებელს, წლის საუკეთესო კლასის ხელმძღვანელი ორ მასწავლებელს, წლის საუკეთესო კათედრის ხელმძღვანელის სტატუსი ერთ მასწავლებელს და გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა -
2. მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი -
3. ტრენინგების დამადასტურებელი ცნობები -
4. დაწყებითი კათედრის მუშაობის დამადასტურებელი ფოტო -
5. დაწყებითი კათედრის მასწავლებლების გუნდურობის სერთიფიკატები -
6. მასწავლებელთა კვლევები -
7. მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმები -
8. მასწავლებელთა დაჯილდოების მასალები, ფოტო მასალა სერთიფიკატები -
9. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N7 -
10. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა -

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესების მართვა გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, სკოლის ათვლის წერტილია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის დაგეგმვა შემდეგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

თანმიმდევრობით: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება, რევიზია. რაც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განხორციელებას გულისხმობს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი. განსაზღვრულია ჯგუფის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები. ხარისხის ჯგუფი გეგმავს საგანმანათლებლო პროცესების პერიოდულ შეფასებასა და რევიზიას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე, პრინციპის დაცვით. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.1.1 “ სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობითი პროცესების ფარგლებში სკოლას საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული აქვს სტრატეგიული 7 წლიანი და 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა, ხორხიელდება ძირითადი პროცესები: კურიკულუმის შემუშავება და განხორციელება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება
მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ასევე, მკაფიოდ და ნათლად არის გაწერილი შესაბამის დოკუმენტებში კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; კერძოდ, სკოლაში საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო, გასაჩივრების წესი აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და ხელშეკრულებაში. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სხვადასხვა ორგანოს ცხელი ხაზის ნომრები (ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზის ნომერი 111, მანდატურის სამსახურის ცხელი ხაზი, განათლების სამინისტროს ცხელი ხაზი ) გასაჩივრებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლი საზოგადოების ინფორმირებას შიდა და გარე მექანიზმებზე. სკოლა უზრუნველყოფს გასაჩივრების პროცესების წარმიმართვას ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. **ინდიკატორი 3.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ეთიკის კოდექსები, ბავშვთა უფლებები და სხვა. ასევე სასკოლო ღონისძიებებზე, სადამრიგებლო საათებზე და მშობელთა კრებებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ხდება მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების უფლებების მექანიზმების გაცნობა. სკოლაში განმარტეს, რომ განსაკუთრებულ ვითარებაში შეიძლება ნაწილობრივ იქნას ეს უფლებები შეზღუდული, ასე მოხდა მაგალითად პანდემიის პერიოდში, როცა შეიზღუდა მშობელთა ჩართულობა პირისპირ რეჟიმში, თუმცა სკოლამ აუხსნა საზოგადოებას ამისი საჭიროება და ისინიც გაგებით მოეკიდნენ ამ პროცესს. **ინდიკატორი 3.3.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი -
2. სასკოლო-სასწავლო გეგმა -
3. მრჩეველთა საბჭო -
4. დისციპლინური კომიტეტი
5. გასაჩივრების პროცედურები

მხარდამჭერი ჯგუფების ბრძანება და დოკუმენტაცია -

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი არის თანამშრომლებისთვის ცნობილი, გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია პერსონალისთვის. სკოლის თანამშრომლები ავსებენ თვითშეფასების და საჭიროებების კითხვარს და გათავისებული აქვთ, რომ ეს მათი პროფესიული განვითარებისთვის არის საჭირო.

სასკოლო საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისათვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, თიმსის პლატფორმას, კლასის ხელმძღვანელებს მესენჯერში შექმნილი აქვთ მშობელთა და მოსწავლეთა ჯგუფები, ფუნციონირებს მასწავლებელთა ჯგუფი, მშობელთა კრებები, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება. საჭიროების შემთხვევაში ხდება ფსიქოლოგის ჩართვაც. **ინდიკატორი 3.3.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დაინტერესებული წევრების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. მშობლები, მასწავლებლები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მოსწავლეები არჩეული არიან კანონმდებლობის დაცვით სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში და მოსწავლეთა თვითმმართველობაში. **ინდიკატორი 3.3.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო-სასწავლო გეგმა
2. სტრატეგიული გეგმა
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. შინაგანაწესი
5. მრჩეველთა საბჭო (შექმნა)
6. ხარისხის განვითარების ჯგუფი
7. ვაკანსიის პროცედურების დოკუმენტები
8. კლასის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი
9. პედაგოგიური საბჭოს ოქმი (დისციპლინური, თვითმმართველობა, სამეურვეო)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას, სკოლას ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც

გადამზადებულია, აქვს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია, სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებული მრჩეველთა საბჭოს მიერ. ფუნქციონირებს უსაფრთხოების დაცვის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა მორიგე მასწავლებლები, უსაფრთხოების კამერები, არის პირველადი სამედიცინო მომსახურების ოთახი, აღჭურვილი საჭირო მედიკამენტებით. სკოლას ყავს ექთანი, რადგან კონკურსის წესით კადრების დეფიციტის გამო, ვერ მოხერხდა ექიმის აყვანა. სკოლამ მიმართა აღნიშნულის თაობაზე საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს და მიიღო თანხმობა ექთნის აყვანაზე ( წერილი # 5210000941977 18.09.2021) სკოლაში არის სახანძრო სტენდები, არის რეკრეაციული სივრცეები. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული ევაკუაციის გეგმა, სკოლას მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე სკოლას გაგზავნილი აქვს სკოლის საგანგებო მართვის გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (mes 5230001076777 05.09.2023) და ელოდებიან პასუხს. ასევე სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენაზე. 25.08.2023 წელი.

სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით შიდა და გარე პერიმეტრზე, რაც სკოლის ტერიტორიის დისტანციური დათვალიერების შესაძლებლობას იძლევა. სისტემატურად ხორციელდება სკოლის პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერებაც და მისი სისრულეში მოყვანა ევალება ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს. სკოლას გამოყოფილი ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია. სკოლას შემუშავებული აქვს და გაგზავნილი აქვს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შესათანხმებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება და უახლოეს ხანებში მიიღებს დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. **ინდიკატორი 3.4.1.1 არ არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები" ბრძანების საფუძველზე შექმნილი ყავს მრჩეველთა საბჭო, რომლიც კანონმდებლობის შესაბამისად წარმართავს საქმიანობას. სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე მოქმედებს თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესი. სკოლას ჰყავს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია უზრუნველყოს უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის შესასვლელი კონტროლირდება პასუხისმგებელი პირის მიერ, უცხო პირთა სკოლაში შემოსვლა რეგისტრირდება სპეციალურ წიგნში. დისციპლინის განმტკიცების მიზნით, კლასის ხელმძღვანელები მუშაობენ მოსწავლეებთან, აცნობენ შინაგანაწესს, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ საკლასო ქცევის წესებს. მორიგე მასწავლებლები აკონტროლებენ მოსწავლეთა ქცევას საკლასო ოთახებში, დერეფნებსა და ეზოში შესვენებებზე, კლასის ხელმძღვანელები სისტემატურად იმყოფებიან სადამრიგებლო კლასებთან. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა სახელმძღვანელოდ იყენებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებას. სკოლის მხრიდან სისტემატურად ხორციელდება **პრევენციული სახის ღონისძიებები**. პრევენციული ღონისძიებები მიემართება არამხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მშობლებსაც. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის აქტივობებს. სკოლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას, რა მიზნითაც სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი და ა.შ. სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას განთავსებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. **ინდიკატორი 3.4.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
   კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეებთან ატარებენ საუბრებს პრობლემებსა და გამოწვევებზე, მასწავლებლები გამოხატავენ მოსწავლეთა მიმართ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერას, ხვდებიან მშობლებს, ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებებს მოსწავლის მხარდასაჭერად,საჭირო შემთხვევაში სკოლის უფლებამოსილი პირი უკავშირდება მანდატურის სამსახურს მოსწავლეებთან ფსიქოლოგიური მომსახურების მიზნით. პრევენციული ღონისძიებები ტარდება ძალადობის წინააღმდეგ,მასწავლებლები ამ მიმართულებით გადიან ტრენინგებს.

   შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის საშტატო განრიგით ყავს 2 დამლაგებელი, 1 მუშა,სოციალური სამსახურის დასაქმების სააგენტოდან დანიშნული 1 მეეზოვე და 1 დამლაგებლის დამხმარე . ამ პერსონალით სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. შემუშავებულია სკოლის ინფრასტრუქტურაზე მორგებული მოვლა-პატრონობის გეგმა, რომელსაც პასუხისმგებელი თანამშრომლები ეცნობიან, გეგმაში გათვალისწინებულია ყოველდღიური, ყოველკვირეული გენერალური დასუფთავების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გრაფიკი. ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარე პერიმეტრზე, ამ გარემოს მოსაწესრიგებლად სკოლაში დასაქმებულია პირი სოციალური სამსახურიდან. სკოლის საპირფარეშოები მოწესრიგებულია და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, ხელსაბანი, სასაპნე, ხელსახოცი, საშხაპეები, ადაპტირებული სველი წერტილები. საკლასო ოთახები და დერეფნებიც მოწესრიგებულია და კედელზეც გაკრულია ხელის დაბანვის და სანიტარული ნორმების დაცვის წესები. სკოლის ექთანიც მუდმივ მეთვალყურეობას უწევს და ინსტრუქტაჟს უწევს შესაბამის პასუხისმგებელ პერსონალს. სკოლა განცალკევებით ინახავს სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებულ, ამ მიზნებისათვის განკუთვნილ, სათანადოდ მარკირებულ ინვენტარს, რომლის დამუშავება ხდება ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. ასევე, სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.4.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები."** სადაც გაწერილია სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა.

სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. **ინდიკატორი 3.4.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

6 . სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლას გამოყოფილი ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და გაწერილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, სადაც მითითებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლა მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევას დაუყოვნებლივ აცნობებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და უზრუნველყოფს ასეთი შემთხვევების აღრიცხვას.

სკოლის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციები/რეგულაციები. **ინდიკატორი 3.4.1.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლა რეგულარულად ატარებს სასკოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საზოგადოების გამოკითხვას, ახორციელებს პროცესებზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენს რეაგირებას საჭირო ცვლილებების განხორციელების სახით. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი 3.4.1.7 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1 .ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნაზე

2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შესათანხმებლად გაგზავნილი წერილით)

3. მორიგე მასწავლებლების განრიგი

4. უსაფრთხოების კამერების დოკუმენტაცია

5. სამედიცინო კაბინეტი

6. სახანძრო სტენდები (მიღება-ჩაბარება და ფოტომასალა)

7. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პბრძანება

8. სახანძრო შემოწმების აქტი

9. უცხო პირთა რეგისტრაციის ჟურნალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

10. შემოსასვლელის კონტროლის ბრძანება
11. კლასის ხელმძღვანელის ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე
12. საშტატო განრიგი
13. ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის გეგმა-გრაფიკი
14. სოციალური სამსახურიდან დასაქმებული „დამხმარის“ ხელშეკრულება
15. კარადაში დაცული მასალების ფოტო ;
16. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
17. მრჩეველთა საბჭოს მასალები (ოქმი, წესი, ბრძანება)

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლას საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. სკოლას აქვს ახალი 2 სართულიანი შენობა და ინვენტარი, სრულად ადაპტირებული თანამედროვე მოთხოვნებზე. სკოლა შიდა მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე განსაზღვრული აქვს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ასახული ქმედებები ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების განვითარების კუთხით, რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტშიც. სკოლაში ყოველწლიურად ხდება ინვენტარის აღწერა და შეფასება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ.
სკოლის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით (61.13.25.026 01.06.2023). საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით. სკოლა განთავსებულია 17021 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლის ახლად აშენებული შენობა შეფასებულია დადებითად სახარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ და შესულია ექსპულატაციაში. დაწესებულებას აქვს სათანადო წერილობითი მტკიცებულებები (წერილობითი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და ა.შ.) მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებაზე. სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სავარაუდო ზღვრული რაოდენობა არის 192 მოსწავლე.

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სასადილო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე, აქვს პანდუსი და ლიფტი, არის ადმინისტრაციისათვის გათვალისწინებული კაბინეტები: დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, არქივი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი, სკოლას დამტკიცებული და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, წიგნები აღრიცხულია და გატრებული სათანადოდ ჟურნალში. ბიბლიოთეკას ამ ეტაპზე, არ გააჩნია საბიბლიოთეკო ელექტრონული კატალოგი, მაგრამ გამოხატავს მზაობას და მომავლისთვის გეგმავს, ელექტრონული კატალოგის შექმნას და ბიბლიოთეკარის გადამზადებას. სკოლაში არის ტექნოლოგიების კაბინეტი, კომპიურებით და სათანადო ავეჯით აღჭურვილი, მანდატურის ოთახი, დარაჯის ოთახი, ბუფეტი, სამედიცინო კაბინეტი, ინვენტარის სათავსო, 12 საკლასო ოთახი, მათ შორის ორი საკლასო ოთახი დამატებითი სათავსოთი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სატანადო აღჭურვილობით, (ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, მაგრამ ოთახი ნიავდება და ბევრი ცდა ტარდება ვირტუალურადაც. ასევე ნიჟარა არის ოთახის გარეთ მიმდებარე ტერიტორიაზე და სამომავლოდ იგეგმება ოთახში შეტანა). რესურსოთახი, სპორტდარბაზი თავისი გასახდელებითა და სველი წერტილებით, მ. შ. სსსმ მოსწავლისათვის, საშხაპეები და ინსტრუქტორის კაბინეტი, ორივე სართულზე განთავსებული სველი წერტილებით, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები, არის გამათბობლები ცხელი წყლისთვის, ცენტრალური გათბობის სისტემა, საქვაბე სათავსო, სათადარიგო გასასვლელები მანათობელი მანიშნებლებით. სკოლას აქვს ყველა ოთახისათვის შესაფერისიდა რაოდენობის ახალი სასკოლო ინვენტარი: მერხები, სკამები, დაფები, კარადები,სამედიცინო ოთახის აღჭურვილობა; სკოლას აქვს ახალი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, რომელსაც იყენებს მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით, სპორტული ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლაში ჩატარდეს სხვადასხვა სახის სათემო და რაიონული შეჯიბრებებიც. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში არის ბუფეტისთვის განკუთვნილი ოთახი, სველი წერტილით, მაგიდებით და სკამებით, ოთახით სარგებლობენ მოსწავლეები და თანამშრომლები, მაგრამ სახლიდან წამოღებული საკვებით. სკოლა გეგმავს აღნიშნული ფართის გაქირავებას კვების ობიექტად მოსწავლეებისთვის.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.1** არსებული **სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რაც გულისხმობს მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას.

სასკოლო გარემო, რეკრეაციული სივრცეები, ეზო, უზრუნველყოფს მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტულ, უსაფრთხო აკადემიურ სივრცეს. მოსწავლეებისათვის არ არსებობს შემაფერხებელი გარემოება, რაც შეზღუდავს ხელმისაწვდომობას სკოლაში არსებული რესურსებზე

ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით. სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, რომელიც დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თემატური თვალსაჩინოებები: რუკები, გლობუსები, პლაკატები, ცხრილები, მოდელები და სხვა საჭირო

რესურსები. სპორტული დარბაზით და ღია სპორტული მოედნით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გარდა, მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს საკმაოდ მოზრდილი რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო და სხვა) რაც გამოიყენება დასვენებისა და სხვადასხვა აქტივობებისთვის. ასევე, სკოლას აქვს საკმაოდ დიდი ეზო საცდელი ნაკვეთისთვის, ყვავილების ნარგავებისთვის და სხვა პრაქტიკული საქმიანობისთვის. სკოლის სივრცე ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობისთვის. ბიბლიოთეკას წიგნების საცავის გარდა, აქვს სამკითხველო ოთახი, სადაც მყოდრო გარემოში შეუძლიათ მოსწავლეებს მუშაობა და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებების დაგეგმვა. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ახალი და თანამედროვე გარემო, სკოლაში არსებული ლიფტი და ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლას უზრუნველყოფილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშემწყობი პირობები, რაც თანაბრად ხელმისაწვდომს ხდის საგანმანათლებლო პროცესს. ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება; სასკოლო გარემო სრულად ადაპტირებულია: სკოლას გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელი პანდუსები, ლიფტი, . სასკოლო საპირფარეშო ორივე სართულზე და სპორტულ გასახდელებშიც არის კეთილმოწყობილი სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს საკმაოდ დიდი ფართის რესურსოთახი, ადაპტირებული ინვენტარით და რესურსებით.

ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში სკოლა თანამშრომლობს მშობლებთანაც. ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი თავად დაეხმარა სკოლას ადაპტირებული მაგიდის და სკამის შექმნაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა განახორციელონ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლებსშორის არსებული პროექტები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ფინანსდება ახალგაზრდული ცენტრისა და "World Vision"-ის მიერ. მართალია სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლაში მოეწყოს შეხვედრები, მოსწავლეებს ქონდეთ გაკვეთილების შემდეგ დარჩენის, საუბრის შესაძლებლობა, მაგრამ იმისათვის, რომ კონფორტულად განახორციელონ სხვადასხვა აქტივობები მომზადებული აქვთ ორი პროექტი, ერთი, რომელიც ითვალისწინებს ერთ-ერთ რეკრეაციული ზონის აღჭურვას „ჭკვიანი ტელევიზორითა" და მონიტორით, და მეორე პროექტი: „ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთაა", ეს უკანასკნელი წარადგინეს რეგიონალურ ბიზნეს ფორუმზე და ელოდებიან შედეგს.
სკოლაში არსებობდეს სივრცეები, აღჭურვილი შესაბამისი ავეჯით/ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ აქვთ დარჩენის, შეკრების, საუბრის შესაძლებლობა.

სკოლის სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია იქნას ადგილობრივი სათემო საზოგადოებისთვის. ხშირად ტარდება სხვადასხვა სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში ჭარბობს ძველი წიგნები, მაგრამ სკოლა პერიოდულად ამდიდრებს წიგნად ფონდს და სამომავლოდაც გეგმავს ამ პროცესის გაგრძელებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით ბიბლიოთეკაში, ასევე შესაძლებელია, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილია 1 ლეპტოპი.

ბიბლიოთეკას სასწავლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციის გარდა , მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოსწავლეთა მოქალაქეობრივი და კულტურული კომპეტენციების განვითარებაში, კათედრებთან ერთად მუშაობით სხვადასხვა აქტივობების მხარდამჭერია. ამ ეტაპზე ბიბლოთეკის კატალოგი არის მატერიალური სახის, უახლოეს მომავალში სკოლა გეგმავს ბიბლიოთეკარის გადამზადებას და ელექტრონული კატალოგის შექმნას, რაც სასკოლო საზოგადოებას მისცემს რესურსების გამოყენების მეტ შესაძლებლობას. სკოლის ბიბლიოთეკისათვის ცალკეა წიგნთსაცავი და მიმდებარედ არის სამკითხველო ოთახი. სკოლაში არის რუკები, ლაბორატორია, სპორტული ინვენტარი და ყველა საჭირო რესურსი კურიკულუმის განხორციელებისათვის. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.5.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. შენობა-ნაგებობის პასპორტი

3. ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი;

4. ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები;

5. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი

6. ბიბლიოთეკის კატალოგი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

7. დამხმარე რესურსების ჩამონათვალი (სასკოლო კურიკულუმი)

8. შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან;
9. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიზანია ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში;

   სკოლის ციფრული განვითარება ორი მიმართულებით იგეგმება: კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და მონაცემების შეგროვება/დამუშავება. ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ამჟამინდელი ინფრასტრუქტირა და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. სკოლას აქვს „ახალი სკოლის მოდელი“-ს ფარგლებში გადმოცემული 8 ცალი ლეპტოპი და 2 ცალი პროექტორი, საჩუქრად მიღებული 3 ლეპტოპი, 10 ცალი მაგიდის პერსონალური კომპიუტერი ლაბორატორიისათვის და 4 ცალი ადმინისტრაციისათვის, „ვაიფაის“ უწყვეტი მომსახურების ქსელი, თუმცა ინტერნეტის სიჩქარე დაბალია. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბოლატორია, ბიბლიოთეკა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სივრცე, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები და პრინტერი. აქვე შესაძლებელია მასწავლებლებმა იმუშაონ და მოემზადონ გაკვეთილისა თუ ღონისძიებისათვის. სკოლას მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი. სკოლა მთლიანად დაფარულია ინტერნეტით, Wifi არის სკოლის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ცალკეულ კლასებში არის საკაბელო ქსელიც. სკოლის ინტერნეტის სიჩქარე საკმაოდ სუსტია.

სკოლა იყენებს სავალდებულო ელ.ჟურნალს. მასწავლებლების მიერ საგაკვეთილო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილის სწორად განსაზღვრა ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას, მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. სკოლისათვის ინტერნეტის უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც ის უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვისაც. ტექნიკა ხელმისაწვდომია ყველასთვისგონივრული ოდენობით და დროით. სკოლა არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პროცესს.

სკოლაში არის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებს და სკოლის პერსონალს უტარდება ტრენინგები ელექტრონული ფოსტის/ კომუნიკაციის სისტემების (მაგ. Google, office 365 და სხვა პლატფორმები) გამოყენების საკითხებში.

ამასთან, დაწესებულება შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელით, ელ.ფოსტებით, სკოლის ვებ.გვერდით და მის ხელთ არსებული სისტემის მეშვეობით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სკოლის მხრიდან პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი დირექტორის შიდა ბრძანების საფუძველზე.

პროცესების სწორად დაგეგმვა-წარმართვისათვის ინტერნეტი უნდა მუშაობდეს გამართულად, მაგრამ ინტერნეტის სიჩქარე საკმაოდ დაბალია. სკოლაში არის როგორც კაბელიანი, ისე უკაბელო ინტერნეტი და გონივრულად განსაზღვრულია დაფარვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ზონები. სკოლა ცდილობს კომპიუტერული ტექნიკის შეძენა/მოზიდვას სხვადასხვა ინიციატივის, საგრანტო პროექტის, ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობის ფარგლებში
სკოლა ცდილობს ელექტრონული რესურსების გამოყენებით მონაცემების მოგროვებისა და მათი დამუშავების შესაძლებლობის დანერგვას.

სკოლას აქვს წესი, როგორ მოიქცევა პანდემიის პირობებში, როგორ შეძლებს მოსწავლეების გადაყვანას ონლაინ სწავლებაზე. . საამისოდ სკოლა უზრუნველყოფს განათლებაზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობას. სკოლას აქვს ინფორმაცია, რამდენ ბავშვს არ აქვს კომპიუტერით სარგებლობის შესაძლებლობა და ეხმარება მოსწავლეებს გარკვეული პერიოდით სკოლის კომპიუტერის თხოვებით. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
2. ინტერნეტით უზრუნველყოფის ხელშეკრულება (სქულბოქსის ფოტო)
3. საზიარო სივრცეებით სარგებლობის გეგმა-
4. სივრცეების ამსახველი ფოტომასალები -

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი და გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება აღნიშნული წესების დაცვით. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და არეგულირებს საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენება და ა.შ.

   დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები უნდა იყოს დანომრილია, დირექტორის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და ზონარით შეკრული. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow.emis.ge, Email@mes.gov.ge, და ასევე ვიყენებთ ისეთ ტექნოლოგიებს როგორებიცაა: eSchool.emis.ge; Microsoft Teams; Google-ს. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში ასახავს ინფორმაციებს: ბაზის განახლების შესახებ, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა შესახებ, მოსწავლეთა მობილობას, ექსტერნების შედეგებს, სახელმძღვანელოების არჩევას, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებას, პირველკლასელთა რეგისტრაციას, კურსდამთავრებულთა ამორიცხვას, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგებს, საშტატო განრიგის დამტკიცება, გაკვეთილების ცხრილის ასახვა, სასკოლო-საათობრივი ბადის ასახვა, კლასის დამრიგებლების ასახვა და ა. შ. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
სკოლა რეგულარულად აწვდის ინფორმაციებს საგანმანათლებლოს საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მართვის საინფორმაციო სისტემას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს და თანამშრომლობს მათთან, საქართველოს პეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, სამეურვეო საბჭოს.

5. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საქმისწარმოების წესი
2. ბრძანება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
3. ანგარიშები: მაცნეს, პრეზიდენტს, პარლამენტს
4. დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლას აქვს საკუთარი ბლოგი Arlissajaroskola.biogspot.com . და ფეისბუქ გვერდი „არლის საჯარო სკოლა“ ამ ეტაპზე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ სკოლას შეუქმნა ოფიციალური ვებ გვერდი და მიმდინარეობს ამ გვერდზე ყველა საჭირო ინფარმაციის ატვირთვის პროცესი. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელში ასახულია სასკოლო ცხოვრების მიმდინარე სიახლეები და აქტივობები, გამოკითხვები, შემოთავაზებები და სხვა.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი/მექანიზმი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ინფორმაციის განთავსებისას დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის გამოყენებულია სხვა საკომუნიკაციო არხებიც: ინფორმაციული შეხვედრები, როგორც პირისპირ შეხვედრები, ასევე ონლაინ პლატფორმა. ღია კარის დღე, საინფორმაციო შეხვედრა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, რომელიც პროფესიულ ორიენტაციას და კარიერულ დაგეგმვას შეეხება და სხვა.

სკოლა სთავაზობს საკუთარ სივრცეს სასკოლო საზოგადოებას. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, სადაც სხვა რეგულაციებთან ერთად გაწერილია, რომ ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვაზე, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორის მოადგილე. სკოლის ყველა თანამშრომელი, კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას.

სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კომუნიკაცია სკოლის როგორც შიგნით, ასევე გარეთ წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და მიწოდების გონივრული ვადა. სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოყენებაზე, რისთვისაც ცვლიან და ავრცელებენ ინფორმაციას. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა აწარმოებს გამოკითხვებს მშობლებთან, მოსწავლეებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან, ასევე იღებს უკუკავშირს სოციალური ქსელით და მათი ანალიზის საფუძველზე გეგმავს ქმედით ნაბიჯებს სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლას ახალი გახსნილი აქვს emis დახმარებით ვებ. გვერდი და ამ გვერდზე განთავსებულია სივრცე ყველა აუცილებელი ინფორმაციის განსათავსებლად. ამ ეტაპზე სკოლა არის ინფორმაციის ატვირთვის პროცესში, რასაც უახლოეს პერიოდში დაასრულებს. სამომავლოდ კი მუდმივად განაახლებს საჭირო ინფორმაციით. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას ახალი შექმნილი აქვს ვებ. გვერდი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციისთვის გამოკვეთილია სივრცე, თუმცა ამ ეტაპზე სრულად ჯერ არ არის შევსებული, მიმდინარეობს ინფორმაციის ატვირთვა. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.6.3. 5 არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი.
2. სკოლის ბლოგი
3. სკოლის ფეისბუქ გვერდის ლინკი
4. საინფორმაციო დაფის სურათი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; როგორც დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან გაირკვა, სკოლა წინასწარ ადგენს მომავალი წლის საპროგნოზო ბიუჯეტის გეგმას,ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ, როგორც ვაუჩერული დაფინანსებიდან ისე ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღებ სავარეუდო შემოსავლებს. სკოლას აქვს სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელსაც იჯარით გასცემს კანონმდებლობის სრული დაცვით. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ხმარდება შრომის ანაზღაურებას ( ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატი), სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოფისე ნივთების შეძენას და კომუნალურ გადასახადებს. სკოლა თბება ბუნებრივი აირით, რომლის ღირებულება აღემატება სკოლის მიერ მიღებულ შემოსავლებს, ამიტომ გათბობის სეზონის პერიოდში საჭიროება არის დამატებითი დაფინანსების მოთხოვნის, რასაც იღებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან დანაკლისის შესავსებად. შესყიდვების გეგმის შედგენა ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. სკოლა ფასების შედარებით საუკეთესო პირობების შემთავაზებლებთან აფორმებს ხელშეკრულებებს, კანონით გათვალისწინებულ ვადებში ხდება შესყიდვების გეგმის ატვირთვა.

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.7.1. 1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარადგენს ბიუჯეტის გეგმას დასამტკიცებლად ყოველი წლის დეკემბრის თვეში, საჭირო შემთხვევაში ასევე სამეურვეო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს კორექტირებულ ბიუჯეტს, ამასთან 10 დეკემბრამდე წარადგენს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. წლის დასაწყისში სკოლა რესურსცენტრს წარუდგენს წლიური ფინანსური ანგარიშის დოკუმენტს (ბალანსს).

შესაბამისად, **ინდიკატორი 3.7.1. 2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ბიუჯეტი და სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
2. მიწის ნაკვეთის გაქირავების მასალები
3. შესყიდვების გეგმის შესამუშავებელი ინვოისები
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი და დირექტორის ანგარიში ფინანსური ანგარიშის შესახებ
5. კორექტირებული ბიუჯეტის ოქმი და გეგმა
6. წლიური ბალანსი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐ არ შეესაბამება

**მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები სკოლაში დარეგულირებულია კანონით გათვალისწინებული პროცედურებით შემუშავებული სკოლის შინაგანაწესით, რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლებები, მათი ინტერესები. ამ დოკუმენტში მნიშვნელოვანი აქცენტია წარმატებული მოსწავლეების წახალისებაზე, რომელიც ეფექტურად მოქმედებს, ეს ყველაფერი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, სკოლაში მართვის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა. შემუშავებულია თვითმმართველობის დებულება, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მათი მონაწილეობა მართვაში, შემუშავებულია მართვის დეტალები, ეს ყველაფერი ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შემუშავებულ მიზნების განხორციელებას. სკოლის სამეურვეო საბჭოში არჩეულია თვითმმართველობის წარმომადგენელი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

რომელიც აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭოს სამუშაო პროცესში. ასევე მოსწავლეთა ორი წარმომადგენელი არჩეულია დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში და მონაწილეობენ მის საქმიანობაში.

სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე სკოლის ვალდებულებები საჭირო შემთხვევაში მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანა, ინდივიდუალური სამუშაო გეგმების შემუშავება, სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება,მშობლებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულება, რაც შეეხება დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, ამ ეტაპზე არ ხორციელდება, რადგან ახალი შენობის ექსპულატაციაში შესვლის პროცესი არ იყო დასრულებული, თუმცა, სკოლას აქვს მზაობა სამომავლოდ განახორციელოს.

სკოლაში მოქმედებს გასაჩივრების მექანიზმი, რაც ყველა მოსწავლისთვის ცნობილია და თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული, სადამრიგებლო საათის ფარგლებში და სხვადასხვა აქტივობებისას, მოსწავლეები ეცნობიან საკუთარ უფლებებს, სკოლა მაქსიმუმს აკეთებს მათტვის ხარისხიანი განათლების მიწოდებისათვის,

რაც ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში. სსსმ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლის ისგ გუნდი შეიმუშავებს ინდივივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმებს და სთავაზობს თითოეულ სსსმ მოსწავლეს საჭირო საგანმანათლებლო მომსახურებას .

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.1. 1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალეობის მიზნით, შინაგანაწესი სკოლაში განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, სასწავლო წლის დაწყების პირველი კვირის განმავლობაში მშობელთა და მოსწავლეთა კრებებზე განიხილავენ და აცნობენ სასკოლო საზოგადოებას ამ დოკუმენტს., სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი მოსწავლე სისტემატიურად ესწრება სამეურვეო საბჭოს სხდომას, მონაწილეობას ღებულობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებასა და მის კორექტირებაში, სამეურვეო საბჭოზე წარდგენილი დირექტორის ანგარიშების (სასწავლო პროცესის წარმართვისა და საფინანსო საქმიანობის) შეფასებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, ჩართულია დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლა ეფექტურად იყენებს Teams-ის პლატფორმას, ფეისბუქ გვერდს და ელექტრონულ ჟურნალს სასკოლო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმირების ან სხვადასხვა განსხვავებული აზრის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ამ ეტაპზე სკოლას ახალი შექმნილი აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, რომელიც ნებისმიერი პროცესის გაზიარებისა და გამჭვირვალობის, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პროცესში უკუკავშირის გათვალისწინებისათვის საუკეთესო საშუალება იქნება, სამომავლოდ აქტიურად იქნება გამოყენებული ვებ.გვერდი ინფორმირებისათვის. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელის თითოეული პუნქტი გამომდინარეობს მოსწავლის ინტერესებიდან, ხელშეკრულებას დეტალურად აცნობენ მშობელს, ყველა პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლისა და მობილობით ჩარიცხული მოსწავლის მშობელთან ფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთვალდებულებების შინაარსი, რომელიც ეხმარება მათ სასკოლო საქმიანობაში მათი ეფექტურად ჩართვისათვის. **ინდიკატორი 4.1.1. 3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1.შინაგანაწესი - დანართი 36;

2. თვითმმართველობის დებულება - დანართი 94;

3. სამეურვეო საბჭოს ოქმი N1 - დანართი 30;

4. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი N1

5. მშობლებთან გაფორმებული ხეშეკრულება

6. სასკოლო-სასწავლო გეგმა

7. კლასის მშობელთა კრების ოქმი N1

9. ფეისბუქ-გვერდის ლინკი და თიმსის სქრინი

10. წახალისების ფორმები

11. ისგ -

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №04/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის წესსა და პირობებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი განსაზღვრავს საფეხურის დაძლევისა და მობილობის წესს. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული წესებისა და პირობების გამჭვირვალეობას და ინფორმაციას აწვდის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, პედაგოგებს და მოსწავლეებს. **ინდიკატორი 4.1.2. 1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; სკოლამ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურებს ახორციელებს კანონმდებლობის დაცვით, რზეც მეტყველებს სკოლაში სწორად წარმოებული დოკუმენტაცია. ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს, ხოლო მობილობის შემთხვევაში, სხვადასხვა სპეციფიკას, მაგალითად რა ენას სწავლობდა და სხვა. საფეხურის დაძლევისას, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება და ქულების გამოთვლა, მათი ასახვა ელექტრონულ ჟურნალში ხდება შესაბამისი ვადების დაცვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს, ყველა საჭირო დოკუმენტის შედგენას და პროცედურების წარმართვას. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. სკოლაში პირველ კლასში მიღების, ცალკეული ეტაპების თაობაზე ასევე ინფორმირებულია შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რომელიც არა მარტო აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას, არამედ შეუძლია კომპეტენტური პასუხი გასცეს დაინტერესებულ პირს მისთვის საინტერესო საკითხებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სკოლა წინასწარ საზღვრავს პირველ კლასში მისაღებ კონტინგენტს, პირველკლასელთა მიღებაზე სკოლის მზაობის შესახებ სკოლის ფეისბუქ გვერდზე ქვეყნდება შესაბამისი ინფორმაცია. მოსწავლეთა საფეხურის დაძლევის შესახებ, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის უფლების შესახებ სასკოლო საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება სასკოლო-სასწავლო გეგმის გაცნობისას მშობელთა კრებებზე კლასის ხელმძღვანელების მიერ. **ინდიკატორი 4.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი ; სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყობს შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა ჩაცმულობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ქცევის წესები, საგნობრივი გამოცდები, მოსწავლეთა კლასებში განაწილება და სხვა. სკოლის წრეების და პროექტების შესახებ ინფორმაციას სკოლა ან დაბეჭდილი სახით განათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე და/ან სკოლის ვებ-გვერდზე ან ფეისბუკ გვერდზე. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.1.2. 3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. კანონმდებლობის შესაბამისად არის შექმნილი სასკოლო კლუბები, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ძალიან საინტერესო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ღონისძიებებს ახორციელებენ, ამზადებენ და ახორციელებენ პროექტებს, თანამშრომლობენ რეგიონის ახალგაზრდულ ცენტრთან; სასკოლო საზოგადოების აზრით, არის საჭიროება სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით სხვადასხვა სახელოვნებო და სპორტული წრეების, გახანგრძლივებული ჯგუფების სასკოლო ბუფეტის გახსნის, მაგრამ გარკვეული საკითხებია მოსაგვარებელი, რომელიც უკავშირდება ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, მუშაობა მიმდინარეობს ამ პრობლემების მოსაგვარებლად. საკითხის დადებითად გადაწყვეტილებისთანავე დაიწყება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, მათ საჭიროებებზე მორგებული ახალი სერვისების შეთავაზება მოსწავლეებისათვის. ამ ეტაპზე კანონდებლობის შესაბამისი დამატებითი მომსახურებიდან სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება, მეზობელ სოფელში მცხოვრები 5 მოსწავლის ტრანსპორტირება ხდება ყოველდღიურად, ამას დაემატა სსსმ მოსწავლე, რომელიც ამავე დროს არის შშმ მქონე, ამჟამად სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება 9 მოსწავლეს. **ინდიკატორი 4.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანება
2. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
3. ტრანსპორტირების გრაფიკი
4. სასკოლო კლუბების მასალები
5. ს/მ-ს ხელშეკრულება
6. საინფორმაციო დაფა
7. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; სკოლა ატარებს მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებებს და ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფას. მოსწავლეთა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა ადაპტაციისათვის სკოლა მზად არის პირველკლასელთა მისაღებად საჭირო გარემოთი, არის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს წინასწარ აცნობენ გარემოს და იმ პირობებს, რომელშიც უნდა ისწავლონ. ახალი სასწავლო წლისათვის მისაღებ პირველკლასელებს ეცნობიან ჯერ კიდევ საბავშვო ბაღიდან, მათ აღმზრდელებთან ერთად იწვევენ სკოლაში და აცნობენ სასწავლო გარემოს. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ტრანზიციის გეგმა. სადამრიგებლო პროგრამებშიც ასახულია მოსწავლეთა ადაპტაცია და მხარდაჭერა. **ინდიკატორი 4.2.1. 1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; მოსწავლეთა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა ადაპტაციისათვის სკოლა მზად არის პირველკლასელთა მისაღებად საჭირო გარემოთი, არის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს წინასწარ აცნობენ გარემოს და იმ პირობებს, რომელშიც უნდა ისწავლონ. ახალი სასწავლო წლისათვის მისაღებ პირველკლასელებს ეცნობიან ჯერ კიდევ საბავშვო ბაღიდან, მათ აღმზრდელებთან ერთად იწვევენ სკოლაში და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

აცნობენ სასწავლო გარემოს. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ტრანზიციის გეგმა. სადამრიგებლო პროგრამებშიც ასახულია მოსწავლეთა ადაპტაცია და მხარდაჭერა. **ინდიკატორი 4.2.1. 2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა წრეებსა და აქტივობებში ( მათემატიკის წრე, ისტორიის წრე და სხვა) სკოლის მათემატიკის გუნდი საბერძნეთში გაემგზავრა კონკურსზე და საპრიზო ადგილიც მიიღო, ისტორიაში შექმნილი აქვთ სოფლის შესახებ საკმაოდ ვრცელი ნაშრომი, რომელმაც საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი აიღო და ა. შ. მოსწავლეთა მხარდაჭერა ხორციელდება ნიშნის ასამაღლებელი გამოცდისთვის მოსამზადებლადაც, სადაც მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ. მხარდაჭერილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივებიც. მხარდაჭერას მოსწავლე განმავითარებელი შეფასებების სხვადასხვა ეტაპზე სისტემატურად იღებს. სკოლს საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), ხოლო მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია მათი სურვილები და შემოთავაზებები. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლას ერთი მხრივ დაცული აქვს კანონმდებლობის მოთხოვნები, მაგრამ მეორე მხრივ, სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას, დაწესებულების მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში, ხელი არ შეეშალოს მოსწავლეთა უფლებების გამოყენებას. მაგალითად, მოსწავლემ და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა იცის, რომ ნებისმიერი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მობილობა შეწყვეტილია 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ასევე XII კლასის პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეზღუდება მობილობის უფლება. მოსწავლეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობენ მათ უფლებებს, მხარდაჭერის პირობებს, იციან, რომ შეუძლიათ ნიშნის ამაღლება, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულება, აცნობენ საგამოცდო ვადებს, იციან, რომ ეს მხარდაჭერა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში,სკოლის მიერ მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის მასალებში, ყოველივე ეს ეცნობა სასკოლო საზოგადოებას შეხვედრებზე ან სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სასკოლო პროექტის: “ჩვენი მომავალი შვენს ხელთაა“ ფარგლებში სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობასთან შექმნილია სამოქალაქო განათლებისა და ბიოკლუბები, მოსწავლეებმა შექმნეს ამ კლუბების ლოგოები,ფეისბუკგვერდები, სადაც ათავსებენ მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების ამსახველ მასალებს. მხარდაჭერას გამოხატავს ვიკი-კლუბის მიმართ, რომელიც მესამე წელია წარმატებით ფუნქციონირებს და თანამშრომლობს საქართველოს ვიკიპედიასთან, ძალიან ბევრი საინტერესო საქართველოს ვიკიპედიისთვის მანამდე უცნობი მასალა მოიძებნა მოსწავლეთა ინიციატივით; სამოქალაქო კლუბის წევრებმა ახალციხის რეგიონალურ ახალგაზრდულ ორგანიზაციის მხარდაჭერით განახორციელა ბევრი საინტერესო პროექტი, ერთ-ერთი ასეთი პროექტი წარადგინეს რეგიონალურ ბიზნეს ფორუმზე. წარმატებული იყო საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა შორის საუკეთესო ღონისძიების ავტორის გამოსავლინებელ კონკურსში სკოლის მასწავლებლის მონაწილეობა თემაზე: „მოსწავლეთა შორის ადამიანის უფლებების მნიშვნელობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და პასუხისმგებელ მოქალაქედ ჩამოყალიბების ხელშეწყობა“ მეორე ადგილი და ფასიანი საჩუქრები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დაიმსახურა . სამოქალაქო განათლების კლუბის მონაწილე მოსწავლემ გაიმარჯვა „Civic Education Teachers Forum"—ის მიერ გამოცხადებულ ინგლისურენოვან კონკურსში და გამარჯვებულ ათეულთან ერთად/მათ შორის არიან უცხოელებიც/იმყოფებოდა ქობულეთში 10-დღიან შეხვედრაზე. აღსანიშნავია, რომ სოფელში ფუნქციონირებს სამრევლო სკოლა, სადაც მოსწავლეები გაკვეთილების შემდეგ დადიან სხვადასხვა წრეებზე: ხალხური ცეკვისა და სიმღერის, ხელგარჯილობის და სხვა. სკოლა თანამშრომლობს აღნიშნულ წრეებთან მოსწავლეთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მოსწავლეთა ინტერესების წახალისებიდან გამომდინარე ადმინისტრაცია ითვალისწინებს მათ მონდომებას და ხელს უწყობს საკლუბო მუშაობას. ახლახან სკოლამ უმასპინძლა პარტნიორ ორგანიზაციის რეგიონალურ ახალგაზრდულ ცენტრს, რაიონული კლუბების საანგარიშო შეხვედრას, შესაბამის მასალებს პარტნიორი ორგანიზაცია აქვეყნებს თავის ფეისბუქგვერდზე. კლუბების მიერ განხორციელებულ პროექტებს აქვთ მდგრადობა. ამის კარგი მაგალითია ვიკი-კლუბი, რომელიც მესამე წელია ფუნქციონირებს და , რომელიც დღესაც წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას. ასევე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმაურება და მოსწავლეებისათვის მეტად საინტერესო ღონისძიებებს გეგმავს და ატარებს „ბიოკლუბი" კლუბების მიერ განხორციელებული ან მომზადებული პროექტები ითვალისწინებს სამომავლო საქმიანობის კიდევ უფრო მეტად გააქტიურებას. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.1.6 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სსსმ-ს ინფრასტრუქტურის ფოტოები, სსსმ ასისტენტის ხელშეკრულება, სსსმ მოსწავლის ფოტო, ადაპტაციისა და იდენტიფიცირების მასალები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. პირველკლასელთა ოთახის ფოტო და სკოლის გაცნობის დამადასტურებელი ფოტო -
3. სასკოლო პროექტი
4. კლუბების ლინკები
5. ბიბლიისა და „ერთად მომავლისაკენ“ პროექტები

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; სწავლების პროფესიული ორიენტაციისათვის კლასის ხელმძღვანელები ეფექტიანად იყენებენ კლასის საათს, სადაც სისტემატიურად აცნობენ სხვადასხვა სახის პროფესიებს, გასულ წლებში ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ტარდებოდა პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები. მართალია კლასის ხელმძღვანელები მუშაობენ ამ მიმართულებით, მაგრამ ეს ძირითადად კლასის საათებით შემოიფარგლება, ამიტომ სკოლა ითვალისწინებს რა ამის საჭიროებას, წელს ისევ აღადგენს აღნიშნული საგნის სწავლებას და მიმდინარე 2023-24 სასწავლო წლის გეგმაში ასახულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შესაბამისი საათები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მათთვის საინტერესო პროფესიის გაცნობაში და ზოგადად, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაში. სკოლას აქვს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გეგმა. გეგმა მოიცავს კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის აქტივობებს და ა სკოლის კურსდამთავრებულების გამოკითხვას, თუ რამდენად დაეხმარა სკოლის მიერ კარიერული დაგეგმვის ფარგლებში გაწეული მხარდაჭერა სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება სამოქმედო გეგმის გადახედვა. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით სკოლა აწყობს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის, ექსკურსიებს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა სისტემატიურად აწვდის უფროსკლასელ მოსწავლეებს ინფორმაციას კონკრეტული სასწავლებლების ღია კარის დღეების შესახებ, თანამშრომლობს ახალციხის უნივერსიტეტთან, სისტემატიურად მასპინძლობს უნივერსიტეტის მესვეურებს, სადაც მოსწავლეებს პირისპირ შეხვედრებში აცნობენ სხვასახვა საინტერესო პროგრამებს და პროექტებს, სკოლის უფროსკლასელები მასპინძლობდნენ ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენელს, რომელმაც საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა მოსწავლეებს თავდაცვის აკადემიის შესახებ. სტუმრობდნენ ქ. ახალციხის პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელს- „ოპიზარი“, სადაც ადგილზე დაათვალიერეს სასწავლებლის ინფრასტრუქტურა და შეხვდნენ სპეციალისტებს. აღნიშნულ პროცესში ნაკლებია მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ მომავალი სასწავლო წლისათვის. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 2. 2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა კლასის ხელმძღვანელებისგან ღებულობს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა სასწავლებელში ჩარიცხულ ან შრომითი საქმიანობის დაწყების შესახებ. ყოველწლიურად ხდება კითხვარების შევსება უფროსკლასელების მიერ, რა პროფესიის არჩევა სურთ და სკოლისგან რა მოლოდინები აქვთ ხელშეწყობის მიზნით. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, იწერება გეგმა მოსწავლეთა მხარდასაჭერად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 2. 3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სადამრიგებლო საათების გეგმა პროფორიენტაციაზე
2. უნივერსიტეტის წერილები ღია კარის დღეზე და შეხვედრის მასალები
3. „ოპიზარში" სტუმრობის მასალები
4. თაცდაცვის აკადემიის ვიზიტის მასალები
5. კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გეგმა.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; სკოლის სასწავლო გეგმაში გაწრილია ის პროცედურები, რომელსაც სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირებისათვის - მულტიდისციპლინური

გუნდისათვის მიემართვისათვის ისგ-ს ჯგუფების შექმნისა და საქმიანობისათვის. სკოლას ასევე აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა , რომელშიც გაწერილია ინკლუზიური განათლების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები. ახალი სასკოლო შენობა სრულად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეებზე, სკოლას გააჩნია ყველა პირობა რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში- პანდუსი, ლიფტი, სველი წერტილები ორივე სართულზე და სპორტდარბაზში, რესურსოთახი , ისგ გეგმები, გადასაადგილებელი საშუალება, მათ საჭიროებაზე მორგებული რესურსები. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 3. 1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები, გაწერილი პროცედურები და წესები. ისგ გუნდი რეგულარულად წარმართავს შეხვედრებს და მასში ჩართულია თითოეულ სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული პედაგოგი, მშობელი და სპეციალისტი. სკოლა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინტერესებისა და პრიორიტეტებს . ასევე, სკოლა სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე თანამშრომლობს გარე სერვისის სპეციალისტებთან, მაგალითად ფსიქოლოგთან. სასკოლო საზოგადოების ჩართულობისას არ ირღვევა სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის საკითხები. სსსმ მოსწავლის მხარდაჭერისათვის მოსწავლის იდენტიფიცირებისთანავე საჭიროების დასადგენად სკოლა მიმართავს საქ. განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს. შეფასება ხდება როგორც პირისპირ, ისე დისტანციურ რეჟიმში, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის მიღებისთანავე სკოლა ქმნის ისგ ჯგუფებს კანონით გათვალისწინებულ ვადაში, რომელიც ადგენს ისგ -ებს, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ორიენტირებულია მათ განვითარებაზე.. უკვე იდენტიფიცირებულ მოსწავლეებისათვის კანონით დადგენილ ვადაში ქმნიან ისგ-ებს, შექმნილია სკოლის მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მონაწილეობენ მშობლები, საჭირო შემთხვევაში იკრიბება და განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სსსმ მოსწავლის, რომელიც ამავე დროს არის შშმ პირი, მომსახურებისათვის სკოლამ იზრუნა მისი ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის, წელს ეს საკითხი მოგვარდა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სსსმ -ს იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცედურების მასალები
2. სსსმ-ს ინფრასტრუქტურის მასალები
3. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2
4. მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომლის. მუშაობას მონიტორინგს უწევს და არეგულირებს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია. სკოლის მიერ, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი მონიტორინგს უწევს მძღოლის მიერ მოსწავლეთა მომსახურებას კანონით გათვალისწინებული დროის ფარგლებში. დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ფარგლებში, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ს საკლუბო მუშაობაში მხარდაჭერას. სამოქალაქო განათლების, ბიოკლუბის, ვიკი კლუბის,მათემატიკის კლუბის, ნორჩ მკითხველთა კლუბის მუშაობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, არის საჭიროება სხვადასხვა მომსახურების, მაგალითად სკოლის ბუფეტის, გახანგრძლივებული ჯგუფის გახსნის, სხვადასხვა სპორტული წრეების შექმნის, თუმცა ამ საკითხების მოგვარება დაკავშირებული იყო ინფრასტრუქტურის დოკუმენტაციის პრობლემებთან. ამჟამად, შენობის და ინფრასტრუქტურის დოკუმენტაცია მოგვარებულია და სკოლას უკვე შეუძლია აუქციონის წესით ფართის გაქირავებაც მოსწავლეთა დამატებითი მომსახურებისთვის. მიმდინარე წელს სკოლას გეგმაში აქვს მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვაზე დაყრდნობით, კიდევ უფრო მეტი დამატებითი მომსახურება შესთავაზოს მოსწავლეებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 4. 1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლა დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათი გამოკითხვის და სურვილების შესაბამისად და და ეს სერვისები შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და სასკოლო საზოგადოებასთან. . ეს სერვისები (წრეები, კლუბები და სხვა) ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და პერსონალურ განვითარებას. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჩანს, რომ შეთავაზებული სერვისები არის ნებაყოფლობითი ანუ არასავალდებულო. ამჟამად, სკოლას არ აქვს ფასიანი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, მაგრამ სამომავლოდ აპირებს მის შეთავაზებას და როგორც სკოლა განმარტავს, შესაბამის ხელშეკრულებებში სხვა პუნქტებთან ერთად იქნება მკაფიოდ გამოყოფილი მისი მიზანი, ღირებულება და ნებაყოფლობითობა. სკოლა ემსახურება ორი სოფლის მოსწავლეებს , სოფ. არალი და სოფ. წარბასუბანი, სადაც მოსახლეობა მცირეა და არ ფუნქციონირებს სკოლა, რის გამოც შეიქმნა საჭიროება იქ მყოფი მოსწავლეებისათვის განათლების ხელმისაწვდომობისათვის დანიშნულიყო ტრანსპორტი, რომელიც ემსახურება 9 მოსწავლეს. მათ შორის სსსმ მოსწავლეს, რომელიც ამავდროულად არის შშმ პირი, რომლის საჭიროებებიც სრულად გათვალისწინებულია. საკლუბო მუშაობა, რომელიც თვითმმართველობის ხელშეწყობით აქტიურად ხორციელდება, ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას, თითოეული კლუბის მიერ განხორციელებული პროექტი ეფუძნება იმ პრობლემების გადაჭრას, რომელიც პრიორიტეტულად მოიაზრება. პროექტის განმახორციელებელი გუნდების მიერ გათვალისწინებულია თითოეული პროექტის მდგრადობა, სასკოლო პროექტის ფარგლებში ხირციელდება პროექტები: ,,წყალი, რომელსაც ვსვამთ“ - ,,ჯანმრთელი თაობა“, ,,სამზარეულოს ომები“, ,,ჯანსაღი კვების მნიშვნელობა“, ,,უცნაური ნაძვის ხე“ . სასკოლო პროექტების შემაჯამებელ რაიონულ კონფერენციაზე ხაზი გაესვა „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების დიდ მნიშვნელობას, სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, თემის დაინტერესებას და მხარდაჭერას, რაც არის იმის გარანტია, რომ სასკოლო პროექტები არის სიცოცხლისუნარიანი, ეფექტიანი და მდგრადი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სასკოლო პროექტებიდან მნიშვნელოვანია პროექტი: “ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთაა“, სწორედ ამ პროექტის წარდგენა მოხდა ბორჯომში სკოლა-ბიზნესის ფორუმზე, რომელიც ჩატარდა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, და რომელსაც ორგანიზაცია PH International ახორციელებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის მხარდამჭერია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სამცხე-ჯავახეთში პროგრამის პარტნიორია ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი. პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა მოსწავლეთა განვითარებას უწყობს ხელს. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2.4.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირება არ საჭიროებს დამატებით უფლების მოპოვების ვალდებულებას, მაგრამ სკოლის ტერიტორიაზე მათი საქმიანობის განხორციელებისას გათვალისწინებულია უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ტრანსპორტირების განხორციელებას სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით სახელმწიფო პროგრამით. შესაბამისად, **ინდიკატორი 4.2. 4. 3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. ტრანსპორტირებს ტაბელი
2. ბრძანება ტრანსპორტირების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი
3. კლუბების წესდებები
4. პროექტები,

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დაწყებითი საფეხური

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>**დაწყებითი საფეხური** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე და ინტერვიუს დროს დაწყებითი საფეხურის სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, შეიმუშავებენ დოკუმენტს, რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია) ინტერესები. კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ისინი შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტების მიხედვით, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და მათზე დაყრდნობით სკოლა ქმნის წლიურ პროგრამას. გარდა ამისა, მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ბარათები მშობელთათვის, სადაც მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა და სამიზნე ცნებები. საფეხურზე კურიკულუმის შემუშავება ერთგვარი ციკლური პროცესია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის შემუშავებას, მის დანერგვა-რეალიზებას. გარკვრულ მონიტოტინგსა და შეფასებას, შემდეგ კი მის გადასინჯვასა და რევიზიას, პირველ ეტაპზე იკვეთება პრიორიტეტული თემები, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ყალიბდება პირველადი ჩარჩო , ეტაპობრივად გაიწერება კურიკულუმის საკვანძო ერთეულები,რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და წინა წლების გამოცდილება, ფაქტობრივად, ეყრდნობა კოლეგებთან ერთად კურიკულუმის განხილვას, კოლეგების უკუკავშირს, რეფლექსიებს, მკაფიოდ გაწერილ რჩევა-რეკომენდაციებსა და რეგულაციებს. **ინდიკატორით 2.1.1.1. დასტურდება შესაბამისობა**

**2.1.1.2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის დოკუმენტების საფუძველზე კურიკულუმში ასახული და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კათედრებზე კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა სურვილების და მათი ინტერესის გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვისაც გეგმავენ საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს.მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ განხორციელებული კომპლექსური დავალებების საფუძველზე მათ გამოიტანეს სათანადო დასკვნები, რომელიც გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლების კურიკულუმის შექმნის პროცესში. გარდა ამისა, კათედრის მუშაობის ამსახველმა მასალამ, 2023-2024 სასწავლო წლების კათედრის სამუშაო გეგმამ და არაფორმალურმა აქტივობებმა უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების კურიკულუმში ასახვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასების კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორით 2.1.1.2. დასტურდება შესაბამისობა**

**2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

როგორც ინტერვიუდან გაირკვა, საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში.

გამოდის , რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, ერთობლივად გეგმავენ სკოლასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, მსჯელობენ რომელმა კომპლექსურმა გაამართლა და რომელმა არა, აკეთებენ წერილობით რეფლექსიებს. განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ქოუჩინგის ფარგლებში საგნობრივმა კათედრებმა შექმნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც გულისხმობენ კათედრების მიერ განვლილი სასწავლო წლის რეფლექსიასა და სამომავლო ხედვის ჩამოყალიბებას: რამდენ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ სემესტრის განმავლობაში, რომელ განმავითარებელ თუ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ, რომელ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტს აირჩევენ და სხვა. კურიკულუმები იქმნება კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება ასევე კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ . შესაბამისად, **ინდიკატორი: 2.1.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან და მითითებული ლინკებიდან ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ამისთვის კი სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებს, მათ შორის სოციალურ ქსელს, რომლის საშუალებითაც მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა რომ მასწავლებლების მიერ შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლა გეგმავს ასევე მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლის ვებ გვერდის აქტიურად გამოყენებას . რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა. მიიღონ უკუკავშირი სასკოლო საზოგადოებისაგან და გამოიყენოს იგი მომავალი კურიკულუმის დაგეგმვაში.შექმნილ კურიკულუმებს აქტიურად იზიარებს სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით: ფესტივალები გასართობი თამაშები მძლეოსნობის ტექნიკური ელემენტების გამოყენებით, რომლებიც ჩაშლილია საერთო სასკოლო აქტივობებში- მძლეოსნობა. სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორით 2.1.1.4. დასტურდება შესაბამისობა**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოები;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

დაწყებით საფეხურზე სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები შემდეგი საგნებისთვის: მე და საზოგადოება (III-IV კლასები) და ჩვენი საქართველო (V-VI კლასები). დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი შუალედური მიზნები, წარმოდგენილი თემები, რესურსები და კომპლექსური დავალების პროდუქტები (ფოტოკოლაჟი, კომიქსი, ბუკლეტი, ინტერვიუ...) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გაანალიზება მოსწავლეებს მიიყვანს სამიზნე ცნებების სიღრმისეულად გააზრებამდე. მაგალითად, მე-5 კლასის ჩვენი საქართველოს" კურიკულუმში თემის - „აჭარის" - დამუშავების დროს შეთავაზებულია კონტექსტ-მაგალითი აჭარული ფოლკლორის შესახებ, რაც მოსწავლისთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს. კომპლექსური დავალება ითვალისწინებს სლაიდშოუს შექმნას აჭარული ფოლკორის შესახებ (სლაიდ შოუს შექმნა აჭარული ფოლკლორის შესახებ) დავალებისთვის შემოთავაზებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მაგალითი შედარებისთვის - მესხური, რაც მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას გამოიწვევს. კომპლექსური დავალების განსახორციელებლად შემოთავაზებულია სხვადასხვა სახის რესურსები: სახელმძღვანელო, ასევე ციფრული რესურსი (ვიდეოს ლინკი).

საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საკითხები (მაგალითად, მე და საზოგადოებაში შემავალი საკითხები: რელიგიური დღესასწაულები ჩემს ოჯახში, როგორ ვიქცევით ექსტრემალურ სიტუაციაში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები) უკავშირდება პირად გამოცდილებას, რაც მოსწავლეებს შეუქმნის საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. საბუნებისმეტყველო კათედრის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია მზა მატრიცებზე დაყრდნობით . მათში სავალდებულო თემის ფარგლებში, შერჩეულია საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალების იდეა ,საჭირო რესურსები. კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს საკმარისი გამოცდილება, ხედვა და მზაობა, წარმატებით დაგეგმოს და განავითაროს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილ იქნა ყველა კლასში. კურიკულუმებში ჩანს, რომ მისი შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმის ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

რესურსებით; ასევე ასახულია კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. შერჩეული კომპლექსური დავალებები არის თემის და კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად შერჩეული. სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელის პროექტში. მათ აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისია სტანდარტთან**

**2.1.2.2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით (სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია კონტექსტ -მაგალითები და კომპლექსური დავალების იდეები , რომლებიც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეები( ბუკლეტის დამზადება გარემოს დაცვაზე, სხვადასხვა მოდელების შექმნა,პრეზენტაციის მომზადება) იძლევა საფუძველს, რომ განხორციელების პროცესში გააქტიურდება გლობალურ- ფუნქციურ უნარები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან, კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული

ინტერვიუს შედეგად , გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალებების დაგეგმვა /განხორციების აგრეთვე, სამომავლო ხედვა და მზაობა კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, (სამიზნე ცნებები და შედეგები), პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი) და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. კომპლექსური ტიპის დავალებები ისეა შედგენილი , რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას კი შემოქმედებითობა სჭირდება. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი და სამიზნე ცნებები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებისაკენ, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. სამდღიანი ქოუჩინგის ფარგლებში მასწავლებელთა მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურ-ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დავალებებში (მაგ.: ერთი პერსონაჟის წერილი მეორე პერსონაჟს, ამბის შეთხზვა რთული სიტყვების გამოყენებით...) ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას.
სკოლის მტკიცებულებების სახით წარმოადგინა საზოგადოებრივი მეცნიერებებში შემავალი საგნების კურიკულუმები. მოცემული საგნების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) კურიკულუმები მიემართება შესაბამის სამიზნე ცნებებს: (მე და საზოგადოება - საზოგადოება, ინსტიტუცია, ზრუნვა, ცვლილება; ჩვენი საქართველო - (სივრცე, მეურნეობა, დრო, მრავალფეროვნება, სახელმწიფო, საზოგადოება). გარდა ამისა, მუშავდება გლობალური ფუნქციური უნარები: „ჩვენ საქართველოში" მუშავდება ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება - რადგანაც კურიკულუმის ჩარჩოში ერთ-ერთი სვეტი ეთმობა შედარების მაგალითებს, მაგალითად, ჩვენ საქართველოში მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა შეადარონ სვანური და ხევსურეთის კოშკები, შემოქმედებითობა - რადგანაც მოსწავლეები დაასახელებენ პრობლემის გადასაჭრელი გზებს სკოლის მიმდებარე გარემოს ზრუნვის მიზნით; კომუნიკაცია - რადგანაც მოსწავლეს მოუწევს მეტყველების ტიპის შერჩევა (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) პრეზენტაციის პროცესში; თანამშრომლობა - რადგანაც მოსწავლეებს მოუწევთ თანამშრომლობა პროდუქტის შექმნისას; მოქალაქეობა - რადგანაც მესამე კლასში „მე და საზოგადოების" ფარგლებში მოუწევთ ქვეყნისთვის აქტუალურ პრობლემებზე მსჯელობა: წესების დაცვა პანდემიის დროს, ტოლერანტობა და ა.შ.; ნებელობა - რადგანაც კომპლექსური დავალებები მოითხოვს მასზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ გათვალისწინებეულია მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და პოტენციალი. მიმდინარე შეფასებისთვის მასწავლებელთა მხრიდან დასახელებული ინსტრუმენტები ცხადყოფს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების აღწერაზე და არა ხარვეზების მარკირებაზე, რაზეც კომპლექსური დავალების შესაფასებელი განმავითარებელი რუბრიკები მიუთითებს. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება გამოხატონ მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია სწავლის მიზნების გათვალსწინებით მოსწვალეზე მორგებული სასწავლო რესურსების და სასწავლო მასალის შეთავაზება, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მასწავლებელები აღნიშნავენ , რომ რამდენჯერმე შეცვალეს შესაქმნელი პროდუქტი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ საკითხი და გრძელვადიანი მიზანი უცვლელი დარჩა. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ იდივიდუალური გეგმის საშუალებით, ადაპტირებული დავალებებითა და აქტივობებით.

მასწავლებლებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სკოლას აქვს რემედიაციის გამოცდილება. სკოლა ჩართული იყო USAID - საბაზისო განათლების პროექტში და ამ პროექტის ფარგლებში მიიღეს საჭირო ინფორმაცია რემედიაციის შესახებ . შესაბამისად, ცდილობენ აქტიურად გამოიყენეონ საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პრაქტიკაში.

მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, რაც მათ აგრეთვე გაითვალისწინეს კურიკულუმის შექმნის დროს, მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა სააზროვნო უნარის მქონე მოსწავლეების შესაძლებლობები. როგორც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ერთ-ერთმა მასწავლებელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალების პროდუქტებს მოსწავლეებს სთავაზობენ მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უმარტივებენ დავალების პირობას. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ სარგებლობს ინტერნეტით, შესაქმნელად აძლევენ ისეთ პროდუქტს, რომელიც არ მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობას. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (ვიდეო, პოსტერი, PPT პრეზენტაცია), სსმ მოსწავლეებისთვის აქვთ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალებების გამარტივებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. ასევე, 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში დაგეგმილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებზე მუშაობის პროცესიც მოიაზრებს განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლის მხრიდან, მოსწავლეების თვითრეფლექსიას, თანატოლთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ურთიერთშეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრაზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები . შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა და ასევე მათთან ინტერვიუს შედეგადაც დაზუსტდა, რომ დაწყებით საფეხურზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, (მაგალითად: კომენტარი, გასასვლელი ბილეთი, და სხვა). დაწყებით საფეხურზე შეფასებები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიმართულია, როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, სამომავლოდ განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების განვითარება/დახვეწის აუცილებლობაზე, რომელიც დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს. მათ ასევე ისაუბრეს დეტალურად კათედრის ხედვაზე ამ კუთხით. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათდრამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული რუბრიკები შედგენილია ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის როგორც ცალკეული თემებისთვის, აგრეთვე კონკრეტული კომპლექსური დავალებისთვის. თემებისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ისეა შედგენილი, რომ მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებს და სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფლობა. I-IV კლასებში შეფასება განმავითარებელი ფორმით ხორციელდება, V კლასის მეორე სემესტრიდან და VI კლასში განმავითარებელ შეფასებებთან ერთად იწყება განმსაზღვრელი შეფასებებიც. მოსწავლეები კომპლექსური დავალების განხორციელებისას ფასდებოდნენ განმავითარებელი კომენტარით. გასაუბრებით დადგინდა, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს მათ შორის შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დაკვირვების ცხრილს. სკოლა ატარებს დიაგნოსტიკურ წერებს. აქტიურად იყენებენ Chemi.skola.ge, kargi.skola.ge, math,ge გვერდებზე განთავსებულ მასალას.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია თემებთან, სამიზნე ცნებებთან მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დაკავშირებით, ***რჩევა სპორტის საგნობრივი ექსპერტისგან** : სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საჭიროებს დახვეწას, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი,* რის მზაობასაც გამოთქვამენ სკოლის მასწავლებლები. **ინდიკატორი 2.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრის ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რასაც იყენებენ მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნის დროს. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომაზე განიხილება კომპლექსური დავალების ეტაპები, ხდება მათი ანალიზი და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადამუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით სასწვლო პროცესის დაგეგმვაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს წარმოდგენილი კურიკულუმები. მასში გაწერილია თემები, საკითხები და კომპლექსური დავალებები, რომელიც შინაარსობრივად ერთმანეთზეა აგებული და ისეა დაგეგმილი, რომ მოიაზრებს მოსწავლის წინარე ცოდნას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ის, კათედრის წევრებთან ერთად, აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას კათედრაზე მასწავლებლები ახდენენ განხორციელებული კომპლექსური დავალებების გამოცდილების ანალიზს, რომელსაც ითვალისწინებენ შემდგომი კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს. **ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლოს კურიკულუმი,
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- უცხოური ენების კურიკულუმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- მოსწავლის პროგრესის ამსახველი დოკუმენტი

- განმსაზღვრელი შეფასება (კომპიუტერული ტექნოლოგიები)
- განმავითარებელი შეფასება (კომპიუტერული ტექნოლოგიები)
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
    - შეფასების რუბრიკები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კათედრების მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა, აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამიზნე ცნებები. ამის მაგალითია ჩარჩო- დოკუმენტებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები. რამდენიმე კომპლექსური დავალება დეტალურადა გაწერილი, აღემულია math.ge და chemiskola.ge ვებგვერდებიდან. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლებმა იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც. სკოლაში ფუქნციონირებს მათემატიკის კლუბი, სადაც დაწყებითი საფეხურიდან ჩართულია მე-5 და მე-6 კლასის მოსწავალეებიც. წარმოდგენილა კლუბის სამუშაო გეგმა, მუშაობის ანალიზი, ფოტომასალას, სხვადასხვა მათემატიკურ პროექტებში წარსმატების ამსახველი მასალა, საიდანაც ვასკვნით, კათედრას აქვს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში წარმატებული ჩართვის კარგი გამოცდილება, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი. სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. უცხოური ენების კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემების გადაჭრის გზით. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით, და სტრატეგიებით. მასწავლებლები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ქმნიან სხვადასხვა რესურსებს, მაგ: ინგლისური ენის მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი „ წინდებულების ყუთი“.სკოლაში მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში დაწყებით საფეხურზე ფუნქციონირებდა ინგლისური ენის კლუბი „ English Is fun” .კლუბის

მიზანი იყო : სკოლის მოსწავლეებისათვის საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობების მიცემა, სასკოლო პროგრამების მხარდაჭერა,მოსწავლეთა კვლევის, ანალიზის, ჯგუფური მუშაობისა და დისკუსიის უნარების გამოვლენა, ჩამოყალიბება და განვითარება,მიღებული ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, პრეზენტაციის უნარების ჩამოყალიბება, პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება, წყვილებში, ჯგუფურად და ინდივიდუალურად მუშაობისას გამოცდილების მიღება-გაზიარება. სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. მასწავლებლებს კურიკულუმებში გაწერილი აქვთ თემები, სამიზნე ცნებები და კლასტერები და კომპლექსური დავალების იდეები. მაგალითად, მესამე კლასში საგან „მე და საზოგადოებაში“ იგეგმება კომპლექსური დავალების - „ექსკურსიის გეგმის შედგენის“ - განხორციელება, „ჩვენ საქართველოში“ იგეგმება შემდეგი კომპლექსური დავალების განხორციელება: „პოსტერის შექმნა იმერეთის მეურნეობის დარგებზე“. მოცემული და სხვა კომპლექსური დავალებები საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. აღნიშნული კომპლექსური დავალებებით დამუშავდება საგნების შესაბამისი სამიზნე ცნებები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მრავალფეროვანია კომპლექსური დავალების ფარგლებში შესაქმნელი პროდუქტებიც: პოსტერი, ფოტოკოლაჟი, კომიქსი, ფლაერი, ფოტორეპორტაჟი. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

**2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, მასში საკითხები დაყოფილია თემების მიხედვით, თემები მოიცავს საკითხთა კლასტერებს. აღნიშნულ კლასტერებში შემავალი საკითხები ეფუძნება წინარე ცოდნას და გამოცდილებას. მაგალითად, „მე და საზოგადოების“ კურიკულუმის ჩარჩოში კლასტერები ისეა დალაგებული, რომ ახალი მასალის დამუშავება მოითხოვს მის სხვა კლასტერებში დამუშავებულ ინფორმაციასთან დაკავშირებასა და გამთლიანებას. მაგალითად, აღნიშნულ საგანში მოცემულია თემა „მედია და ინფორმაცია“, რომელიც იყოფა შემდეგ კლასტერებად: ინფორმაცია, უსაფრთხო ინტერნეტი, ინტერნეტის დადებითი შედეგი, რეკლამა და ა.შ., აღნიშნული კლასტერები სასწავლო პროცესს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმები იქმნება გასული სასწავლო წლების ანალიზზე დაფუძნებით. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები. კურიკულუმების შემუშავების შემდეგ მათ ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით დ აა.შ. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს მტკიცებულებების სახით შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები,სადიაგნოსტიკო ტესტის ნიმუშები და მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორიდან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ-დაწყებით საფეხურზე, მათემატიკის სწავლა სწავლების პროცესში იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით . მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კომპლექსური დავალების პირობის ფორმულირებისას შემოაქვთ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რათა მოსწავლემ გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კომპიუტერული ტექნოლოგიები) მასწავლებელს განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი და ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რაც გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ, სწავლა-სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**ინდიკატორი2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

**2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა კურიკულუმები, რომლებში მითითებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, კომპლექსური დავალების პროდუქტებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მოსწავლეებს სთავაზობენ მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მათი თქმით, ისინი ახალისებენ და აძლევენ საშუალებას მოსწავლეებს დაფიქრდნენ, რა გამოუვიდათ კარგად, რაზე გაამახვილებდნენ ყურადღებას, თავიდან რომ ასრულებდნენ აღნიშნულ კომპლექსურ დავალებას, გარდა ამისა, იყენებენ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შესაბამისად, წახალისებულია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესაძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში.  კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მომავალში თვითშეფასებას და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტებს შექმნიან და გამოიყენებენ. მასწავლებელთა გასაუბრებიდან , წარმოდგენილი შეფასების/თვითსეფასების რუბრიკებიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს შეუძლია მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსწავლეთა თვითშეფასებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები ისეა გაწერილი რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას. წახალისებულია მოსწავლეთა რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოსწავლეს ყოველი კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ უწევს გაანალიზოს : რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარ**ტს.

**2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); დაწყებითი**

დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მაგალითად, მოსწავლეებმა უნდა გარდაქმნან იგავი კომიქსად, რისთვისაც მათ სიღრმისეულად უნდა გაიაზრონ ტექსტი, შეცვალონ პერსონაჟების ხედვის კუთხე, გამოკვეთონ ტექსტის მთავარი სათქმელი კომიქსის მეშვეობით, იმსჯელონ ნამუშევრის ჟანრული თავისებურებების შესახებ; საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად მათ დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ასევე ამ ცოდნის გამოყენება სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობისა და პრობლემების გადაჭრისათვის.

სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები. აღნიშნული კურიკულუმების ჩარჩოში საკითხები დაყოფილია კლასტერებად და მითითებულია კომპლექსური დავალებების იდეები. ისინი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. მაგალითად, ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოდგენილია მესამე კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალების პროდუქტი - „სასკოლო კონსტიტუციის შექმნა“, რომელზე მუშაობა მოითხოვს ცოდნის სამივე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კატეგორიის შესაბამის შეკითხვებზე მუშაობას. მაგალითად, მოუწევთ პასუხი გასცენ შეკითხვას, თუ რა არის კონსტიტუცია. პირობისეული ცოდნის შესაბამისი შეკითხვაა: რატომ უნდა დავიცვა ქცევის წესები საკლასო ოთახში? ხოლო პროცედურული ცოდნა მოითხოვს პროდუქტში დავალებაზე მუშაობის პროცესში მიღებული ცოდნის ასახვას: როგორ ავსახოთ საკლასო კონსტიტუციაში ჩვენი შეთანხმების შედეგები? **ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

**2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშულებას იძლევა. რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას. კათედრამ წარმოადგინა ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და ხელოვნების ინტეგრირებული პროექტი, რომელიც განხორციელდა მე-5 კლასში ,,ანემომეტრი“(ქარის სიჩაქრის გასაზომი მოწყობილობა) პროექტის საბოლოო პროდუქტი იყო ჭიქის ანემომეტრი, რომლის აწყობისას მოსწავლეებმა გაიაზრეს მოწყობილობის მუშაობის პრინციპი. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ პროექტზე მუშაობისას ასევე გამოიკვეთა მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარების შესაძლებლობა. სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი თემები და კლასტერები, რაც

მოსწავლის რეალურ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის საგანში - „მე და საზოგადოება" - შესასწავლი და გასააზრებელი საკითხებია: სასკოლო კონსტიტუცია, მანდატური, გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა ჩემს ოჯახში და ა.შ. „ჩვენ საქართველოში" ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებმა წერილი უნდა მიწერონ ადგილობრივ ხელისუფლებას სოფელში არსებულ პრობლემებზე. აღნიშნული მოსწავლეს საშუალებას აძლევს, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და წინარე ცოდნის გააქტიურებით ააგოს ახალი ცოდნა. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმის ჩარჩოები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს. საგნობრივი კურიკულუმი/კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას, სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს მოუწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. ინტერვიუს დროს, მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას; რომ ის ახდენს საგანთა ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რაც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- სასკოლო კურიკულმი
- უცხოური ენების კურიკულუმები
- შევსებული თვითშეფასების ფორმა
- ინგლისური ენის კლუბი
- რესურსი" წინდებულების ყუთი"
- მშობლის ბარათი (საგანი - კომპიუტერული ტექნოლოგიები)

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ (ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას და განზოგადებას. სკოლამ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით  წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც ასახულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხები გაერთიანებულია კლასტერებში. მაგალითად, მე-5 კლასის „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სავალდებულო თემა „სამცხე-ჯავახეთი“. მასში მოცემული ერთ-ერთი კლასტერის სათაურია „სამცხე ჯავახეთი - საქართველოს სამხრეთი კარიბჭე კულტურული მემკვიდრეობა“. აღნიშნული კლასტერით მუშავდება სამიზნე ცნებები - სივრცე, მეურნეობა და საზოგადოება. კურიკულუმის ჩარჩოს ერთ-ერთ სვეტში აგრეთვე მითითებულია ის მრავალფეროვანი რესურსები, რომლებზე მუშაობაც წარიმართება სასწავლო წლის მანძილზე - სახელმძღვანელო, ლინკები და ა.შ. შესაბამისად, კურიკულუმში მითითებული ყველა კომპონენტი ხელს შეუწყობს კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნასა და გააზრებას. ასევე, სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან, კათედრის ოქმებიდან, მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს რომ აქტიურად მუშაობს საგნობრივი კურიკულუმების შექმნაზე და კომპლექსური დავალებების დაგეგმვაზე. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, საკითხები ისეა შერჩეული რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეა .შესაფერისი კავშირი ჩანს, სამიზნე ცნებას, ქვეცნებას , საგნობრივ საკითხებს და რესურსებს შორის. **ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

**2.2.2.2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შეჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფორმალური და არაფორმალური აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ მოსწავლემ გამოხატოს თავისი ინტერესი, ისწავლოს აზრის კორექტულად გამოთქმა, ემპათია სხვისი მოსაზრების მიმართ, ეფექტური კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე. სკოლაში აქტიურად მუშაობს მათემატიკის კლუბი, რომელიც სხვა კათედრებთან თანამშრომლობითაც ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. სკოლის ფეისბუკგვერდიდან https://www.facebook.com/profile.php?id=100008909476303) და მათემატიკის კლუბის ფეისბუკ გვერდიდან (https://www.facebook.com/matemat.ik.is.k.lubi )ირკვევა, მასწავლებლები ამ მიმართულებით საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ, ინტერვიუში ადასტურებენ, რომ პროექტებში ჩართულობა მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, რაც მოტივაციას ზრდის და თავდაჯერებულობას მმატებს მოსწავლეს. სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის ჩარჩოები „მე და საზოგადოებასა“ და „ჩვენ საქართველოში“. მასში თემები დაყოფილია დაყოფილია კლასტერებად, რომელიც, თავის მხრივ, გამსხვილებული საკითხია. „მე და საზოგადოებაში“ მოსწავლეები ამუშავებენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ლაშქრობის წესები - რა საჭირო ნივთებია საჭირო ლაშქრობისთვის, რა უნდა ვიცოდეთ უსაფრთხო ცურვის წესების შესახებ, წარმატებული პიროვნება ჩემს თემში. აღნიშნული საკითხების დამუშავების შემთხვევაში მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მასზე ახალი ცოდნის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დაშენებით შეძლებენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. კომპლექსური დავალების პრეზენტაციის შედეგად მათ განუვითარდებათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში უდიდესი ყურადღებას აქცევენ მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვას. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი, ერთმანეთზე მზრუნველი პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრს, მათ ასევე შეუძლიათ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება გარემოსთან, ამჟღავნებენ ნდობას ირგვლივმყოფების მიმართ, თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ სურვილებსა და განცდებს და ამავე დროს მათ უნდა შეძლონ გაუგონ თანატოლებსაც. პედაგოგებმა დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც ასეთი გარემოს უზრუნველყოფისა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

**2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სკოლის თვითშეფასების კითხვარის, სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები (დისკუსიის, რეფერატის, პრეზენტაციის, მოსწავლის თვითშეფასების, გაკვეთილზე ჩართულობის, ტესტირების) რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება სადიაგნოსტიკო შეფასების მხრივ და ეფექტურადაც იყენებენ, შემაჯამებელის კომპონენტი შეირჩა სადიგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად. კათედრამ სცადა გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. გასაუბების შემდეგ დოკუმენტურადაც წარმოადგინეს შეფასება რუბრიკების მიხედით და შემდგემ მისი ანალიზი. ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ თემების მიხედვით რუბრიკების შექმნას და გამოყენებას. შსაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. უცხოური ენების კათედრის ოქმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა გასაუბრებით დგინდება რომ სკოლაში შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური პროცესის, შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში მაგ: საკუთარი თავის შეფასებით. მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა აქტივობებისთვის , სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით აფასებენ მოსწავლეებს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შედგენილი აქვთ კომპლექსური დავალებებისათვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. უცხოური ენების კათედრა გეგმავს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება სემესტრში ერთხელ, რისთვისაც შეარჩიეს სადიაგნოსტიკო შეფასების #1 ინსტრუმენტი.დაწყებით საფეხურზე კათედრები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, აგრეთვე

განმავითარებელ შეფასებას. ამასთან ერთად, მასწავლებლებმა შექმნეს შეფასების რუბრიკები და ინტერვიუში აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელი შეფასების დროს ყურადღება დაეთმობა სამიზნე ცნებებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების დროს - მის მკვიდრ წარმოდგენებს. კათედრას 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვს ესგ-ით განსაზღვრული შეფასების პირველი მოდელი. შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ აკადემიური მიღწევების აღნიშვნას, არამედ მასწავლებლები სხვადასხვა წყაროებიდან იღებენ ინფორმაციას მოსწავლეების უნარ-ჩვევების შესახებ და მათი ძლიერი მხარეების გამოსავლენად რთავენ მათ სხვადასხვა სასკოლო აქტივობაში: სასკოლო ღონისძიებებში.**ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეების საჭიროებებს და მიზნებს. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, შეფასების კრიტერიუმები განიხილება საგნობრივ კათედრაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები მოსწავლეებს აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. მოსწავლეს ზუსტად აქვს გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. მასწავლებლები აგრეთვე უხსნიან მოსწავლეებს, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს გადაწყვეტილი. ეს ხელს უწყობს შეფასების ვალიდურობას და სანდოობას. მასწავლებლები ქმნიან შეფასების რუბრიკებსაც და გათავისებული აქვთ მათი მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მიემართება საგნის შესაბამის სამიზნე ცნებებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

რუბრიკებში კი ასახულია, თუ რა მოლოდინები უნდა გვქონდეს მოსწავლისგან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად. **ინდიკატორი2.2.2.4. შესაბამისობაშია.**

**2.2.2.5სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლას ამ ეტაპამდე არ ჰქონდა ვერიფიკაციის დოკუმენტი, მაგრამ შეფასების სისტემა ითვალისწინებდა ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამჟამად შექმნილია ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და სკოლა მუშაობს მის განვითარებაზე. არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრისთვის იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს მეორე ინსტრუმენტი, კერძოდ, საკლასო წერა. ამასთანავე, არსებობს მიღებული შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მაგ: გამოცდებზე მიღებული შედეგების გასაჩივრება, შემაჯამებელი დავალების გასაჩივრების შესაძლებლობა. ცალკეულ მოსწავლეთა მიერ მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია სემესტრული გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა. დადგენილი პრაქტიკით მსგავსი შემთხვევები იშვიათია. კლასების მიხედვით დამრიგებლებს შექმნილი აქვთ ჯგუფები სოციალურ სივრცეში, სადაც მშობლებს სურვილის შემთხვევაში, მათ შორის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, აქვთ თავიანთი აზრის დაფიქისრების შესაძლებლობა. **ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლაში მატერიალურად ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზები. აგრეთვე ინახება მიმდინარე წლის კურიკულუმები ცალკეულ საგნების მიხედვით, გარდა ამისა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ პორტფოლიო, რომელშიც ინახება კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, სასწავლო პროცესებში გამოყენებული აქტივობები და რესურსები და შეფასების მასალები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იცავს დოკუმენტის წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებებთან დაკავშირებული მასალების შენახვას, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს. სკოლის ინფრასტრუქტურიდან და მატერიალური ბაზიდან გამომდინარე, იგეგმება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებები და აქტივობები, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის, პოზიტიური და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად.
მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას აგრეთვე წარმოდგენილი აქვს დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობების სია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ჩამონათვალში აგრეთვე შედის სასკოლო კონკურსები და პროექტები. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

**2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმებიდან და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის მისიიდან გამომდინარე, ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასკოლო კურიკულუმებსა და შეფასების სქემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება. პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზებისთვის. მასწავლებლის მიერ დაგეგმილ პროცესში აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებზე. მასწავლებელთა გასაუბრებაზე გამოიკვეთა , რომ მასწავლებლის მთავარი ორიენტირი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას არის მოსწავლე. კომპლექსური ბუნების დავალებები ისეა შედგენილი რომ, მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ახორციელებენ დაკვირვებას მოსწავლეებზე, რათა უკეთ

დაინახონ მათი საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები. უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა მოსწავლეთა შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკები, მოსწავლის პროგრესის ამსახველი დოკუმენტები. გასაუბრებაზე აღინიშნა ,რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ცდილობენ უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას , ამის დასტურია დაწყებით საფეხურზე მოქმედი ინგლისური ენის კლუბი. **ინდიკატორი 2.2.3.2. შესაბამისობაშია.**

**2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმი. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, აღნიშნული დოკუმენტი შექმნეს კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა და მოცემული ოქმებიდანაც ირკვევა, რომ კურიკულუმის შექმნისას აქტიურად თანამშრომლობდნენ მშობლებთან და კათედრის სხდომაზე ერთობლივად იმუშავეს მის შესაქმნელად. ჩანს ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღინიშნა რომ სისტემატურად ხდება გამოცდილების

გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებს აქვთ მუდმივი კომუნიკაცია ერთმანეთთან , კათედრებზე ხდება მიმდინარე პროექტების, განხორციელებული აქტივობების განხილვა და სამომავლო გეგმების დასახვა. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კათედრების წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე ,ხშირად აძლევენ ერთმანეთს წერილობით უკუკავშირს და ცდილობენ გაითვალისწინონ კოლეგების რეკომენდაციები . კათედრის ხელმძღვანელები მთელი სასწავლო წლის მანძილზე ორგანიზებას უკეთებენ სამუშაო შეხვედრებს კათედრის წევრებთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. **ინდიკატორი 2.2.3.3. შესაბამისობაშია.**

**2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, დირექცია) ჩართულები არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ახალი კურიკულუმის შექმნისას ეყრდნობიან გასული სასწავლო წლის გამოცდილებას, მშობლების და მოსწავლეების უკუკავშირს. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა სახის აქტივობების განხორციელებაში, ტარდება კონკურსები, მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ოლიმპიადებში, რაც ზრდის მოსწავლეთა სკოლისადმი მიკუთვნებულობას და მათ სურვილი უჩნდებათ აკეთონ სკოლისათვის სასარგებლო საქმე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს,

რომ სკოლაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, სასკოლო გარემო პოზიტიურია, ურთიერთობები მშვიდი და ჰარმონიულია, დაცულია კომუნიკაციის ფორმები. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის სუფევს მაღალი ურთიერთპატივისცემა და ნდობა. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სკოლისა და კლასის დონეზე გრძნობს პასუხისმგებლობას და ზრუნავს სკოლის განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კათედრის ოქმები
- უკუკავშირი
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა
- ინგლისური ენის კლუბი
- საგნობრივი კურიკულუმები
- მოსწავლის პროგრესის ამსახველი დოკუმენტი
- განმსაზღვრელი შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- განმავითარებელი შეფასება
- შეფასების რუბრიკები
- მშობლის ბარათი
- საგნობრივი კურიკულუმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. თუმცა დაწყებით საფეხურზე მე-5 კლასის მეორე სემესტრუდან და მე-6 კლასში მხოლოდ ორი კომპონენტით მოხდება შეფასების წარმოება. ასევე იგეგმება კათედრებზე მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებული აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწოს, სრულყოს და განავითაროს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. **ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია, რომ მონიტორინგის პროცესი ყურადღებას ამახვილებს მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება კი არკვევს რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში დამკვიდრებული ამგვარი მიდგომა დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

**2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

როგორც 2022-2023 სასწავლო წლების სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმის დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც სკოლაში ცდილობს ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, მიცემულ უკუკავშირს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. საბოლოოდ მიღებულ გამოცდილებას და უკუკავშირს მასწავლებლები ითვალისწინებენ და ეს ყველაფერი ხელს უწყობს სასწავლო კურიკულუმში ცვლილებების შეტანას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას; რომ დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გამოცდილებას. მონიტორინგის შემდეგ მასწავლებლები მსჯელობდნენ ხარვეზებზე და ისახავდნენ მისი გადაჭრის გზებს.
**ინდიკატორი 2.3.1.3. შესაბამისოაბაშია სტანდარტთა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**ტექნოლოგიები**

- კათედრის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილი 4 ნაწილი (საგანი - კომპიუტერული ტექნოლოგიები)
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი #1
- სასკოლო სასწავლო გეგმა

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არამხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, მშობლებთან კომუნიკაციას, გაკვეთილზე ჩართულობას სასწავლო პროექტს, კომპლექსურ დავალებას, არაფორმალური აქტივობები. და ა.შ. აღნიშნულზე დაყრდნობით, მასწავლებლები ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებსა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების საშუალებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები, როგორებიცაა: მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები. სახელმწიფო ენის კათედრა ამ მიმართულებით მოსწავლის პორტფოლიოს წარმოებასა და შეფასებასაც გეგმავს. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლე შეფასდეს მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. ამის საშუალებას აგრეთვე იძლევა განხორციელებული პროექტები, კონკურსებში მონაწილეობადა სხვა აქტივობები, რომლებიც მოსწავლეების ჩართულობით ხორციელდება სკოლაში. გარდა ამისა, მოსწავლეებთან მუშაობის დროს ყურადღება ექცევა პოზიტიურ სასწავლო გარემოს, ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობას, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით; იმისთვის რომ სტანდარტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწევების სრულად გაზომვა, იგეგმება  სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება, კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი,  მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.3.2.2.  დაკმაყოფილებულია.**

**2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი, რომელთა დამუშავების და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესს შემდეგი მიმართულებებით სწავლობენ: მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით, თვითშეფასებით, ურთიერთშეფასებით, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით. ამასთან ერთად, სკოლაში იგეგმება სხვადასხვა სასწავლო აქტივობები, რაც მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. შეფასებისას დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. ძირითადად განმავითარებელი შეფასება ხორციელდება. იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მაგ: შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს. ასევე იყენებენ მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ფორმებს. სკოლის თვითშეფასების კითხვარში მაგალითად მოყვანილია მუსიკის მასწავლებლის მიერ ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა „თამაშით სწავლების მნიშვნელობა მუსიკის გაკვეთილებზე“, რომელშიც გამოიყენა შეფასების მონაცემთა შეგროვებისას მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლის მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ სკოლა მომავალი სასწავლო წლისთვის უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და შეფასება. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორი 2.3.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

**2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასებისას ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს, ოჯახს, თემს, ფორმალურ და არაფორმალურ გარემოზებს, საგნობრივ სტანდარტს, ახალი ცოდნის წინაპირობის შექმნას. ამასთან ერთად, გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, მასწავლებლები აკვირდებიან კოგნიტურ უნარებს, შესაბამისად, სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, შეფასების დროს ითვალისწინებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. დაწყებითების კათედრას აქვს მიმდინარე წლის გამოცდილება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

და წელსაც  გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას , რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. მასწავლებლებთან საუბარში გამოკვეთენ, რომ მათ აქვთ ერთობლივად შემუშავებული მიდგომები, რომლებიც მათი თქმით წინარე გამოცდილების ანალიზს დაეყრდნობა. **ინდიკატორი  2.3.2.4.შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის თვითშეფასება*
- *კურიკულუმის  განვითარების და დანერგვის მეთოდოლოგია*
- *შეფასების რუბრიკები*
- *Დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი*

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

პედაგოგებთან ინტერვიუს და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადასინჯვა მოხდება საგნობრივ კათედრებზე და საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შეეცდებიან შექმნან გადამუშავებული კურიკულუმები.
ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. საგნობრივი კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შესაბამის ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხოლო ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებსა და რჩევებს. წარმატებული აქტივობები გაზიარულია და გამოყენებებულია მასწავლებელთა მიერ საგაკვეთილო პროცესის უკეთ ჩატარების პრაქტიკის დანერგვისათვის. **2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება, რა დროსაც კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმებში ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები, ვინაიდან სკოლა ჩართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში და აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, სკოლის პედაგოგები შეიმუშავებენ კომლექსურ დავალებებს, რომლებშიც იქნება გათვალისწინებული სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ამის შედეგად სკოლის 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ.-სთან. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მოსწავლეებზე, რათა უკეთ დაინახონ მათი საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები. გასაუბრებაზე აღინიშნა ,რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ცდილობენ უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.**ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

**2.2.3.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

კათედრაზე წარმართულ ინტერვიუზე გამოჩნდა ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღინიშნა, რომ სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებს აქვთ მუდმივი კომუნიკაცია ერთმანეთთან , კათედრებზე ხდება მიმდინარე პროექტების, განხორციელებული აქტივობების განხილვა და სამომავლო გეგმების დასახვა. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ უცხოური ენების კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე ,ხშირად აძლევენ ერთმანეთს წერილობით უკუკავშირს და ცდილობენ გაითვალისწინონ კოლეგების რეკომენდაციები. კათედრის ხელმძღვანელი მთელი სასწავლო წლის მანძილზე ორგანიზებას უკეთებს სამუშაო შეხვედრებს კათედრის წევრებთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. ამჟამად სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი დირექციასთან ერთად , პედაგოგების მხარდასაჭერად და სასწავლო პროცესების მონიტორინგის მიზნით, აკვირდება გაკვეთილებს და სხვადასხვა აქტივობების მსვლელობას. ეს პროცესი ფასდება სპეციალური დაკვირვების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კითხვარის საშუალებით, ხოლო შემდეგ გაკვეთილის გეგმების, პედაგოგის რეფლექსიის, დაკვირვების ფორმის მიხედვით, მხარდამჭერი ჯგუფი უკუკავშირს აძლევს მასწავლებელს, ხდება აზრთა გაზიარება,რეკომენდაციების შემუშავება. მომავალშიც იგეგმება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის მიზნით მონიტორინგი და შეფასება, რაც სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

**2.2.3.4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, სასკოლო გარემო პოზიტიურია, ურთიერთობები მშვიდი და ჰარმონიულია, დაცულია კომუნიკაციის ფორმები. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის სუფევს მაღალი ურთიერთპატივისცემა და ნდობა. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სკოლისა და კლასის დონეზე გრძნობს პასუხისმგებლობას და ზრუნავს სკოლის განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- უცხოური ენების კათედრის ოქმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- შევსებული თვითშეფასების ფორმა
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა
- კოლეგების უკუკავშირი,ჩატარებული გაკვეთილების რეფლექსიები
- უცხო ენების კათედრის წევრებთან კითხვარი
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებული აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწოს, სრულყოს და განავითაროს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები.
**ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია**

**4.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მონიტორინგის პროცესი ყურადღებას ამახვილებს მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და შეფასება კი არკვევს რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგებს გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. მასწავლებლები აკვირდებიან მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში დამკვიდრებული ამგვარი მიდგომა დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

**2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას; რომ დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერაც, რა დროსაც ასევე დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები .მონიტორინგის შემდეგ მასწავლებლები მსჯელობდნენ ხარვეზებზე და ისახავდნენ მისი გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი #1
- სასკოლო სასწავლო გეგმა

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

რაც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების საშუალებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები, როგორებიცაა: მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს ისინი ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ მოსწავლეებზე ინფორმაციის მოგროვებისას ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებული მონაცემებს, როგორიცაა სხვადასხვა გაკვეთილი, თანაკლასელების გარემო, წრე, შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.3.2.3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ შეფასების პროცესში პედაგოგები იყენებენ მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი და ა.შ. რაც საშუალებას იძლევა ჰოლისტური მიდგომით შეფასდეს სასწავლო პროცესები. ამისთვის საჭიროა დაკვირვება, მონაცემების შეგროვება, გამოკითხვა და სხვადასხვა საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი კითხვარების შედგენა, რათა უკეთ მოხდეს პროცესების შეფასება და ანალიზი. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა ცდილობს მოახდინოს მოსწავლეთა სრულყოფილი შეფასება, მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს მოსწავლეების სრულყოფილი შეფასება გასათვალისწინებელია არა მარტო სასწავლო პროცესები, არამედ სხვადასხვა სისტემებიდან მთელი რიგი ფაქტორები, როგორიცაა ოჯახი, თემი, ფორმალური და არაფორმალური გარემოებები. ამისთვის საჭიროა დაიგეგმოს სხვადასხვა კვლევითი სამუშაოები, გასათვალისწინებელია დრო, გარემო, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგებზე. მშობელთა ჩართულობით, პედაგოგების აზრის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გაზიარებითა და თანამშრომლობით, დიფერენცირებული მიდგომები სკოლას დაეხმარება მულტიფაქტორული შეფასების დაგეგმვაში. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა და განვითარების პროცესი. **ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პედაგოგებთან ინტერვიუს და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმის გადასინჯვა მოხდება საგნობრივ კათედრებზე და საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შეეცდებიან შექმნან გადამუშავებული კურიკულუმები. **2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლა ახდენს რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, გამოკვეთს სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს და ა.შ. სასწავლო წლის ბოლოს საბაზო საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ წინა სასწავლო წლის მონაცემებს, გამოკვეთენ საჭიროებებს ახალი კურიკულუმის შემუშავებისათვის. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- საგნობრივი კურიკულუმი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი –<br>**<u>საშუალო საფეხური</u>** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე და საშუალო საფეხურის სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, შეიმუშავებენ დოკუმენტს, რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია) ინტერესები.

კურიკულუმების შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ისინი შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტების მიხედვით, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და მათზე დაყრდნობით სკოლა ქმნის წლიურ პროგრამას. გარდა ამისა, მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ბარათები მშობელთათვის, სადაც მოცემულია კომპლექსური დავალების პირობა და სამიზნე ცნებები. საფეხურზე კურიკულუმის შემუშავება ერთგვარი ციკლური პროცესია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის შემუშავებას, მის დანერგვა-რეალიზებას. გარკვრულ მონიტოტინგსა და შეფასებას, შემდეგ კი მის გადასინჯვასა და რევიზიას, პირველ ეტაპზე იკვეთება პრიორიტეტული თემები, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ყალიბდება პირველადი ჩარჩო , ეტაპობრივად გაიწერება კურიკულუმის საკვანძო ერთეულები,რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და წინა წლების გამოცდილება, ფაქტობრივად, ეყრდნობა კოლეგებთან ერთად კურიკულუმის განხილვას, კოლეგების უკუკავშირს, რეფლექსიებს, მკაფიოდ გაწერილ რჩევა-რეკომენდაციებსა და რეგულაციებს. **ინდიკატორით 2.1.1.1. დასტურდება შესაბამისობა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.1.1.2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახული და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ განხორციელებული კომპლექსური დავალებების საფუძველზე მათ გამოიტანეს სათანადო დასკვნები, რომელიც გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლების კურიკულუმის შექმნის პროცესში. გარდა ამისა, კათედრის მუშაობის ამსახველმა მასალამ, 2023-2024 სასწავლო წლების კათედრის სამუშაო გეგმამ და არაფორმალური განათლების ამსახველმა მასალამ უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების კურიკულუმში ასახვა. **ინდიკატორი2.1.1.2. შეესაბამება სტანდარტს**

**2.1.1.3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, ასევე კათედრის მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი დოკუმენტები: 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმები ადასტურებს, რომ მათ მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კერძოდ,საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს კათედრის ყველა მასწავლებელი. ისინი განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ.**ინდიკატორი2.1.1.3. შეესაბამება სტანდარტს**

**2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან და მითითებული ლინკებიდან ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ამისთვის კი სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებს, მათ შორის სოციალურ ქსელს. შექმნილ კურიკულუმებს აქტიურად იზიარებს სასკოლო საზოგადოება მრავალფეროვანი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებით: ფესტივალები ინდივიდუალურ თუ გუნდურ სათამაშო სახეობებში, რომლებიც ჩაშლილია საერთო სასკოლო აქტივობებში. სკოლა გეგმავს ასევე მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლის ვებ გვერდის აქტიურად გამოყენებას . რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა. მიიღონ უკუკავშირი სასკოლო საზოგადოებისაგან და გამოიყენოს იგი მომავალი კურიკულუმის დაგეგმვაში. **ინდიკატორი2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მტკიცებულებები:

- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- კომპლექსური დავალების ბარათი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილ იქნა ყველა კლასში. კურიკულუმებში ჩანს, რომ მისი შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმის ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით; ასევე ასახულია კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. შერჩეული კომპლექსური დავალებები არის თემის და კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად შერჩეული. სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელის პროექტში. მათ აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით. მაგალითად, მე-10 კლასის ისტორიის კურიკულუმში თემის - „ანტიკური ეპოქა“ - დამუშავების დროს შეთავაზებულია რომის იმპერიის მმართველობის სამივე ფორმის შესახებ, რაც მოსწავლისთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს. კომპლექსური დავალება ითვალისწინებს მოხსენების დაწერას სახელწოდებით - „როგორ გადაიქცა რომი პატარა ქალაქიდან უძლიერეს იმპერიად“. დავალებისთვის შემოთავაზებულია მაგალითები შედარებისთვის - აქემენიანური ირანი და რომის იმპერია, რაც მოსწავლს გააქტიურებას გამოიწვევს. კომპლექსური დავალების განსახორციელებლად შემოთავაზებულია სხვადასხვა სახის რესურსები: სახელმძღვანელო, ტელესკოლის გაკვეთილების ლინკები, რომის იმპერიისა და რომის რესპუბლიკის რუკა. საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საკითხები (მაგალითად, მოქალაქეობაში შემავალი საკითხები: კანონი და კანონმორჩილება, სოციალურ-ემოციური უნარები ადამიანის და მოქალაქის უფლებები და სხვა) უკავშირდება პირად გამოცდილებას, რაც მოსწავლეებს შეუქმნის საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე.

აღსანიშნავია, რომ ესთეტიკის კათედრაზე საშუალო საფეხურზე მიმდინარეობს პროექტული სწავლება, რომელიც ამ სასწავლო წლიდან დაინერგა. 2022 -2023 სასწავლო წელს პროექტული სწავლება მიმდინარეობდა მუსიკის საგანში, შესაბამისად მომდევნო წელს პროექტული სწავლება მე-11 კლასში წარიმართება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული თემები და პროექტები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი კურიუკულუმის ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებასა და შედეგზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კურიკულუმის ჩარჩოს ცხრილში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება. ამ გამოცდილებას მომდევნო სასწავლო წელს გაიზიარებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის პედაგოგიც.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საშუალო საგეხურზე წარმოდგენილია სამი საგნის ფიზიკის , ქიმიის , და ბიოლოგიის მე 10 კლასის მომდევნო სასწავლო წლის კურუკულუმის ჩარჩოები. მათში ესგ სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულია თემები , მითითებულია შესაბამისი საკითხთა კლასტერები, მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები , ძირითადი და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი. შესაბამისად. რაც შეეხება მე-11, მე-12 კლასების საგნობრივ კურუკულუმებს ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მათზე მუშაობენ ახალი პროგრამების მიხედვით და მომავალი სასწავლო წლისათვის ექნებათ მზად.მოცემული დოკუმენტების ანალიზიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი წარმოადგენს, სადაც ჩანს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება შედეგებთან ერთად განსაზღვრულია სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობა მასწავლებლების მიერ ,სავალდებულო თემის ფარგლებში, შერჩეულია საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალების იდეა , რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის ,სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება, ხედვა და მზაობა, წარმატებით დაგეგმონ და განავითარონ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი . **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2.1.2.2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება, რომელიც თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის -კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას. კომპლექსური ტიპის დავალებები ისეა შედგენილი , რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას კი შემქომედებითობა სჭირდება. მაგალითად, საქართველოს ისტორიაში მოსწავლეები ერთმანეთს შეადარებენ ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II; შემოქმედებითობა - რადგანაც მოსწავლეები შექმნიან კედლის გაზეთს არასრულწლოვანთა ინფორმირების სამართლებრივი კულტურის ფაქტორებზე; კომუნიკაცია - რადგანაც მოსწავლეები გამოიყენებენ მეტყველების სხვადასხვა ტიპს (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) პრეზენტაციის პროცესში; თანამშრომლობა - რადგანაც მოსწავლეები ითანამშრომლებენ კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას; მოქალაქეობა - რადგანაც ისინი იმსჯელებენ ქვეყნისთვის აქტუალურ პრობლემებზე: მაგალითად, მოქალაქეობაში შექმნიან კედლის გაზეთს არასრულწლოვანთა ქორწინების შესახებ; ნებელობა - რადგანაც კომპლექსური დავალებები მოითხოვს მასზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას;კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში (მაგ.: ინტერვიუ პერსონაჟთან, ლიტერატურული

კვლევა თემაზე ,,რა ვიცით ,,ვეფხისტყაოსნის'' ავტორის შესახებ?''...) ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

კურუკულუმებში მოცემულია თემატური დაგეგმვა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას ,მათ საჭიროებაზე მორგებული დავალებების, რესურსების, გარემო პირობების შერჩევას. ასევე ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირმა, სადაც გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება კომპლექსიური დავალებების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტირების კუთხით დაგვანახა მათი მზაობა სასწავლო პროცესი გახადონ ყველა მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი. სკოლას წამოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაც. მასწავლებლები ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიური, კოგნიტური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, უზრუნველყოფენ, რომ სსსმ მოსწავლეები თანაბრად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად, ჩანს, რომ კათედრებს აქვთ ხედვა და მზაობა სასწავლო პროცესში გაითვალისწინონ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, რაც მასწავლებლებმა აგრეთვე გაითვალისწინეს კურიკულუმის შექმნის დროს. როგორც ერთ-ერთმა მასწავლებელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პროდუქტებს მოსწავლეებს სთავაზობენ მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უმარტივებენ დავალების პირობას. იმ შემთვევაში, თუ მოსწავლე ვერ სარგებლობს ინტერნეტით, შესაქმნელად აძლევენ ისეთ პროდუქტს, რომელიც არ მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობას. სსსმ მოსწავლეს სთხოვენ ფლიპ-ჩარტზე იმუშაონ პროდუქტის შესაქმნელად. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება გამოხატონ მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია სწავლის მიზნების გათვალსწინებით მოსწვალეზე მორგებული სასწავლო რესურსების და სასწავლო მასალის შეთავაზება, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მასწავლებელები აღნიშნავენ , რომ რამდენჯერმე შეცვალეს შესაქმნელი პროდუქტი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ საკითხი და გრძელვადიანი მიზანი უცვლელი დარჩა. მასწავლებლებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სკოლას აქვს რემედიაციის გამოცდილება. სკოლა ჩართული იყო USAID -საბაზისო განათლების პროექტში და ამ პროექტის ფარგლებში მიიღეს საჭირო ინფორმაცია რემედიაციის შესახებ. შესაბამისად, ცდილობენ აქტიურად გამოიყენეონ საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პრაქტიკაში. **ინდიკატორი 2.1.2.3. შესაბამისია სტანდარტთან**

**2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორც საგაკვეთილო თემის შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მომავალი სასწავლო წლიდან განმავითარებელი შეფასება მოხდება კომპლექსური დავალებების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. კათედრას აქვს შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

კათედრებმა ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული რუბრიკები შედგენილია საგნების როგორც ცალკეული თემებისთვის, აგრეთვე კონკრეტული კომპლექსური დავალებისთვის. თემებისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ისეა შედგენილი, რომ მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებს და სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფლობა. რესურსი 12-ის მიხედვით, კათედრები გეგმავენ ჩაატარონ სადიაგნოსტიკო შეფასებები წელიწადში ორჯერ და მიღებული მონაცემები გამოიყენოს მომდევნონ წლის სასკოლო კურიკულუმში შესაბამისი ცვლილების განხორციელებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს წარმოდგენილი კურიკულუმები. მასში გაწერილია თემები,საკითხები და კომპლექსური დავალებები, რომელიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შინაარსობრივად ერთმანეთზეა აგებული და ისეა დაგეგმილი ,რომ მოიაზრებს მოსწავლის წინარე ცოდნას. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ  მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ კათედრები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, რასაც იყენებენ მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნის დროს. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. დაგეგმვის პროცესში  საშუალო საფეხურის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე ისინი მსჯელობენ, განიხილავენ  მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს; რომელმა  კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა  გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ და ა.შ. კათედრის წევრები ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. **წ**არმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა. მოცემული **ინდიკატორი 2.1.2.5. შესაბამისია” სტანდარტთან**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათდრის ანგარიში
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სასკოლო კურიკულუმი;
- შევსებული თვითშეფასების ფორმა
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის მე-10-12 კლასის კურიკულუმი.
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- მე-10  კლასების ფიზიკის, ქიმიის,ბიოლოგიის  საგნობრივი კურიკულუმები ;

შეფასება:

○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, რომლებიც იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. მასწავლებლებს კურიკულუმებში გაწერილი აქვთ თემები, სამიზნე ცნებები და კლასტერები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კომპლექსური დავალების იდეები. მაგალითად, მაგალითად, ისტორიაში იგეგმება კომპლექსური დავალების - „ისტორიული სტატიის მომზადება ქართველი მეფე მთავრების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცვალებადობის შესახებ“ - მომზადება, მოქალაქეობაში კი - „საგაზეთო სტატიის შექმნა მდგრადი განვითარების შერჩეული კომპონენტის მნიშვნელობის შესახებ“. აღნიშნული და სხვა კომპლექსური დავალებები საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მათი მეშვეობით დამუშავდება საგნების შესაბამისი სამიზნე ცნებები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მრავალფეროვანია კომპლექსური დავალების ფარგლებში შესაქმნელი პროდუქტებიც: მისიის ტექსტი, წერილი, ისტორიული მატიანე, კვლევა.

კათედრების მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა, აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მათემატიკის სამიზნე ცნებები. ამის მაგალითია ჩარჩო- დოკუმენტებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები. რამდენიმე კომპლექსური დავალება დეტალურადა გაწერილი, აღემულია math.ge ვებგვერდიდან. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლებმა იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც. სკოლაში ფუქნციონირებს მათემატიკის კლუბი. წარმოდგენილა კლუბის სამუშაო გეგმა, მუშაობის ანალიზი, ფოტომასალას, სხვადასხვა მათემატიკურ პროექტებში წარსმატების ამსახველი მასალა, საიდანაც ვასკვნით, კათედრას აქვს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში წარმატებული ჩართვის კარგი გამოცდილება, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

წარმოდგენილი კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქედებითობის გამოვლენას. მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, პოზიტიურ სასწავლო გარემო, რაც განაპირობებს მაღალ მოტივაციას. ფორმალური განათლებაში ჩაშენებულია არაფორმალური განათლების კომპონენტებიც. მოსწვალეები აქტიურად ერთვებიან არაფორმალურ აქტივობებში. განხორციელებულდა STEM პროექტი „წყალი,ჩვენი არსებობისა“ ასევე სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამოფენილია სასწ.პროცესის დროს შექმნილი მოდელები, პლაკატები,. მასწავლებლებმა დეტალურად ისაუბრეს ზემოთხსენებულ საკითხებზე, რაც ამყარებს წარმოდგენას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისა. **კრიტერიუმი 2.2.1.1.,,შეესაბამება" სტანდარტს.**

**2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი, რომელიც წარმოდგენილია როგორც სამომავლოდ დაგეგმილ კურიკულუმის ჩარჩოებში ასევე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში, იძლევა მოსწავლის წინარე ცოდნის

გააქტიურების საშუალებას. სავალდებული თემები , რომლის ფარგლებში მასწავლებლებს შერჩეული აქვთ საკითხები, არის მოსწავლისათვის ნაცნობი შინაარსიანი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურუკულუმებში გათვალისწინებულია თემატური დაგეგმვის პრინციპი,რაც ხელს უწყობს ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე კონსტრუირებას. წარმოდგენილ მასწავლებლის თვითშეფასებაშიც ჩანს , რომ მასწავლებელს თანდათანობით მიჰყავს მოსწავლე ახალ ცოდნამდე, ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა , რაც **ადასტურებს ინდიკატორთან 2.2.1.2.,,შესაბამისობას"**

**2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა საგნების კურიკულუმები. მასში მითითებული კომპლექსური დავალების იდეები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ისინი ახალისებენ და აძლევენ საშუალებას მოსწავლეებს დაფიქრდნენ, რა გამოუვიდათ კარგად, რაზე გაამახვილებდნენ ყურადღებას, თავიდან რომ ასრულებდნენ აღნიშნულ კომპლექსურ დავალებას, გარდა ამისა, პრეზენტაციის შემდეგ იყენებენ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. როგორც აღინიშნა, მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ მეთოდებს - „3, 2, 1“ და „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“, რაც ხელს უწყობს მოსწავლის დაფიქრებას იმაზე, თუ რა არის მის მიერ ნასწავლ მასალაში ყველაზე მნიშვნელოვანი .



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------ ------------------------ ------------------------

კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესაძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მომავალში თვითშეფასებას და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტებს შექმნიან და გამოიყენებენ.

სკოლაში დაგეგმილი აქტივობები ( კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტი) მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის დაუფლებას. სასკოლო პროექტის ანალიზში კარგად ჩანს, რომ პროექტის საშუალებით მოსწავლე ივითარებს სწავლის მართვის უნარ ჩვევებს : ცოდნათა კომბინირებულად გამოყენების უნარ-ჩვევები, ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა ინტერპრეტირების შესაძლებლობის განვითარება, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების დაუფლება.**2.2.1.3. ინდიკატორი ,,შეესაბამება "სტანდარტს.**

**2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა .წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობისას მიზნის მისაღწევად საჭიროა ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს უწევს პრობლემის ანალიზი, საჭირო რესურსების მოძიება და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის გზების დასახვა. კომპლექსური დავალების ფარგლებში საბოლოო პროდუქტის შექმნაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიას. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა დამიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, რაც დასტურდება სკოლის თვითშეფასების დოკუმენტით.მასწავლებელებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრებზე , მოსწავლეთა გნვლილ გზაზე კომპლექსური დავალებებით სწავლებისას სადაც ნათლად წარმოჩინდა კონტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინება მასწავლებლების მხრიდან.როგორც აღინიშნა, კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. მაგალითად, ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოდგენილია მეთერთმეტე კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეაა - „ისტორიული მატიანეს მომზადება მონარქების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცვალებადობისა და წყაროების შესახებ“, რომელზე მუშაობა მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის შესაბამის შეკითხვებზე მუშაობას. მაგალითად, მოსწავლეები დაასახელებენ საქართველოს მეზობელი ქვეყნებს დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს, როგორ შეაფასებდნენ მათ პოლიტიკას და როგორ ასახავდნენ ისტორიულ მატიანეში მათ მოღვაწეობას. **2.2.1.4 ინდიკატორით ,, შეესაბამება"სტანდარტს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშულებას იძლევა. რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ პროექტზე მუშაობისას ასევე გამოიკვეთა მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარების შესაძლებლობა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის რეალურ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მოქალაქეობაში მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალების იდეაა: „საინფორმაციო ბუკლეტის/სლაიდ შოუს შექმნა მოქალაქეობის კონცეფციის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე მოქალაქეობის მიღების უფლებების, მათ შორის ქალთა და კაცთა თანასწორობის შესაძლებლობებზე“; ისტორიის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული ერთ-ერთი კომპლექსური დავალების იდეაა: „დროში მოგზაურის ინტერვიუს მომზადება XV საუკუნის საქართველოს შესახებ“. აღნიშნული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და წინარე ცოდნის გააქტიურებით ააგოს ახალი ცოდნა, რაც აგრეთვე ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

თემატური მატრიცები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მათშია ჩაშენებული,ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას . ასევე წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ანალიზი და გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების რეფლექსია მიუთითებს წინარე გამოცდილების გაზიარებაზე. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა . ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში.წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.2. 1.5.,,შეესაბამება" სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმები
- საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- მე-10 კლასების ფიზიკის, ქიმიის,ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები
- პროექტი
- მათემატიკის კლუბი

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ (ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას და განზოგადებას. სკოლამ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები გაერთიანებულია კლასტერებში. მაგალითად, მე-10 კლასის ისტორიის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო თემა „ანტიკური ეპოქა“. მასში მოცემული ერთ-ერთი კლასტერია „ბერძნული სამყაროს კრიზისი და ალექსანდრეს მიერ მსოფლიო იმპერიის შექმნა“. აღნიშნული კლასტერის ძირითადი კონტექსტ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მაგალითია „გრანდიოზული ქორწილი სუზაში“. აქ მუშავდება საMიზნე ცნებები - დრო და სივრცე. კურიკულუმის ჩარჩოს ერთ-ერთ სვეტში აგრეთვე მითითებულია ის რესურსები, რომლებზე მუშაობაც წარიმართება სასწავლო წლის მანძილზე (სახელმძღვანელო, წერილობითი წყაროები). შესაბამისად, კურიკულუმში მითითებული ყველა კომპონენტი ხელს შეუწყობს კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნასა და გააზრებას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი გარკვეულწილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**22.2..2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებში კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შეჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფორმალური და არაფორმალური აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ მოსწავლემ გამოხატოს თავისი ინტერესი, ისწავლოს აზრის კორექტულად გამოთქმა, ემპათია სხვისი მოსაზრების მიმართ, ეფექტური კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე. სკოლაში აქტიურად მუშაობს მათემატიკის კლუბი, რომელიც სხვა კათედრებთან თანამშრომლობითაც ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. სკოლის ფეისბუკ გვერდიდან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

https://www.facebook.com/profile.php?id=100008909476303) და მათემატიკის კლუბის ფეისბუკ გვერდიდან (https://www.facebook.com/matemat.ik.is.k.lubi )ირკვევა, მასწავლებლები ამ მიმართულებით საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ, ინტერვიუში ადასტურებენ, რომ პროექტებში ჩართულობა მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, რაც მოტივაციას ზრდის და თავდაჯერებულობას მმატებს მოსწავლეს. ასევე, სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც მითითებულია კომპლექსური დავალების იდეები. მაგალითად, მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია კომპლექსური დავალების იდეები: „კვლევის ანგარიშისამოქალაქო საზოგადოებაზე“, „პრეზენტაციის მომზადება მდგრადი განვითარების მე-16 მიზანზე“ და სხვ. აღნიშნული კომპლექსური დავალებები მოსწავლეში ავითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას და აძლევს თემის და სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების მოტივაციას. აღნიშნული კომპლექსური დავალებების განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მასზე ახალი ცოდნის დაშენებით შეძლებენ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. კომპლექსური დავალების პრეზენტაციის შედეგად მათ აგრეთვე განუვითარდებათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. საშუალო საფეხურზე კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების , სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვის და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. შესაბამისად, ის მიმართულია სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც, რაც დასტურდება სკოლის თვითშეფასების დოკუმენტით.**ნდიკატორი 2.2.2.2. ,,შეესაბამება სტანდარტს**.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

საშუალო საფეხურზე საგნობრივი კათედრები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, აგრეთვე განმავითარებელ შეფასებას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების დროს აქცენტი კეთდება სამიზნე ცნებების ფლობაზე და თითოეულ ცნებას შეწონილი აქვს შესაბამისი ქულა, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში აქცენტი კეთდება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე. კათედრას 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვს ესგ-ით განსაზღვრული შეფასების პირველი მოდელი. აღნიშნულ სასწავლო წელს მოსწავლეების საჭიროებების დადგენის მიზნით კათედრა აგრეთვე აპირებს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება წელიწადში ორჯერ. შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ აკადემიური მიღწევების აღნიშვნას, არამედ მასწავლებლები სხვადასხვა წყაროებიდან იღებენ ინფორმაციას მოსწავლეების უნარ-ჩვევების შესახებ და მათი ძლიერი მხარეების გამოსავლენად რთავენ მათ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში: ოლიმპიადებში, პროექტებში, სასკოლო ღონისძიებებში.

სკოლის თვითშეფასების კითხვარის, სასკოლო სასწავლო გეგმის და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები (დისკუსიის, რეფერატის, პრეზენტაციის, მოსწავლის თვითშეფასების, გაკვეთილზე ჩართულობის, ტესტირების) რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება სადიაგნოსტიკო შეფასების მხრივ და ეფექტურადაც იყენებენ, შემაჯამებელის კომპონენტი შეირჩა სადიგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად. კათედრამ სცადა გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. გასაუბების შემდეგ დოკუმენტურადაც წარმოადგინეს შეფასება რუბრიკების მიხედით და შემდგემ მისი ანალიზი. ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ თემების მიხედვით რუბრიკების შექმნას და გამოყენებას. შსაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

**2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლა ჩართული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროეტში-ახალი სკოლის მოდელი, USAID-ის საბაზო განათლების პროექტსა და სხვა საგანმანათლებლო პროექტებში. ასევე სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, ესგ სტანდარტების მიღწევის მიზნით, თავად შექმნან და განახორციელონ სასწავლო პროექტები. მაგ. შემაჯამებელი დავალებების/სამუშაოების მონაცემთა შეგროვება და ანალიზის საფუძველზე შეძლონ სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესება; მასწავლებლებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გააზრებული აქვთ შეფასების ინსტრუმენტები, მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს და იციან თუ რაში შეფასდებიან. ამას მოწმობს ჩანაწერი პედსაბჭოს სხდომის ოქმებიდან, საიდანაც ირკვევა, რომ შეფასების რუბრიკების შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანია მათი გაცნობა მოსწავლეებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, ,, სასკოლო სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული შეფასების სრულყოფილი სისტემა, აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. მოსწავლეები ეცნობიან დავალების პირობას და შეფასების რუბრიკას.. შეფასების რუბრიკები გამოიყენება ,როგორც თვალსაჩინოება და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალი ადევნონ სასწავლო პროცესში. შეფასების რუბრიკები გამოიყენება სხვადასხვა აქტივობებისთვის კერძოდ: პრეზენტაციის , ჯგუფური მუშაობის, დისკუსია, ესეეს შეფასებისას და სხვა.“

საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. სტანდარტთან მიმართებაში დეტალურადაა გაწერილი დავალების შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. ასევე წარმოადგინეს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და მასწავლებლის რეფლექსია. სკოლას აქვს შემუშავებული ასევე განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ცალკე დოკუმენტებადაცაა წარმოდგენილი და კომპლექსურ დავალებებშიცაა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

გაწერილი. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სტრატეგიული გეგმა, სადაც გაწერილია ზოგადად განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

**2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლას ამ ეტაპამდე არ ჰქონდა ვერიფიკაციის დოკუმენტი, მაგრამ შეფასების სისტემა ითვალისწინებდა ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამჟამად შექმნილია ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც ჩაშენებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და სკოლა მუშაობს მის განვითარებაზე. არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრისთვის იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს მეორე ინსტრუმენტი, კერძოდ, საკლასო წერა. ამასთანავე, არსებობს მიღებული შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მაგ: გამოცდებზე მიღებული შედეგების გასაჩივრება, შემაჯამებელი დავალების გასაჩივრების შესაძლებლობა. ცალკეულ მოსწავლეთა მიერ მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია სემესტრული გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა. დადგენილი პრაქტიკით მსგავსი შემთხვევები იშვიათია. კლასების მიხედვით დამრიგებლებს შექმნილი აქვთ ჯგუფები სოციალურ სივრცეში, სადაც მშობლებს

სურვილის შემთხვევაში, მათ შორის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, აქვთ თავიანთი აზრის დაფიქისრების შესაძლებლობა. **ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლაში მატერიალურად ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზები. აგრეთვე ინახება მიმდინარე წლის კურიკულუმები ცალკეულ საგნების მიხედვით, გარდა ამისა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ პორტფოლიო, რომელშიც ინახება კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, სასწავლო პროცესებში გამოყენებული აქტივობები და რესურსები და შეფასების მასალები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იცავს დოკუმენტის წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებებთან დაკავშირებული მასალების შენახვას, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შეფასების რუბრიკები
- შეფასება სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით
- კურიკულუმები
- სკოლის საქმისწარმოების წესი

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს. სკოლის ინფრასტრუქტურიდან და მატერიალური ბაზიდან გამომდინარე, იგეგმება საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებები და სპორტული აქტივობები, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის, პოზიტიური და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი კურუკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, სკოლის სამოქმედო გეგმა და თვითშეფასება ადასტურებს იმ ფაქტს რომ სასწავლო პროცესი შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო. **ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.**

**2.2.3.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმებიდან, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის მისიიდან გამომდინარე, ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასკოლო კურიკულუმებსა და შეფასების სქემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლის მიერ დაგეგმილ პროცესში აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებზე. კომპლექსური ბუნების დავალებები ისეა შედგენილი რომ, მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მთელი სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

წლის განმავლობაში ახორციელებენ დაკვირვებას მოსწავლეებზე, რათა უკეთ დაინახონ მათი საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები. გასაუბრებაზე აღინიშნა ,რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ცდილობენ უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.**ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

**2.2.3.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმი და კათედრის სხდომის ოქმები. აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კურიკულუმები შექმნილია კათედრის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა და მოცემული ოქმებიდანაც ირკვევა, რომ კურიკულუმის შექმნისას აქტიურად თანამშრომლობდნენ მშობლებთან და კათედრის სხდომაზე ერთობლივად იმუშავეს მის შესაქმნელად. მასწავლებლებმა ჯერ განიხილეს სასკოლო კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და შემდეგ ეტაპზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შეიმუშავეს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საგნობრივი კათედრების მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ გახორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რომელზეც ისაუბრეს მასწავლებლებმა. ასევე კათედრის შეხვედრები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), იზიარებს მათ უკუკავშირს და აქვს სიახლეების მაღალი მიმღებლობა. აღინიშნა რომ სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებს აქვთ მუდმივი კომუნიკაცია ერთმანეთთან , კათედრებზე ხდება მიმდინარე პროექტების, განხორციელებული აქტივობების განხილვა და სამომავლო გეგმების დასახვა. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ უცხოური ენების კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე ,ხშირად აძლევენ ერთმანეთს წერილობით უკუკავშირს და ცდილობენ გაითვალისწინონ კოლეგების რეკომენდაციები . კათედრის ხელმძღვანელი მთელი სასწავლო წლის მანძილზე ორგანიზებას უკეთებს სამუშაო შეხვედრებს კათედრის წევრებთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნითა.მჟამად სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი დირექციასთან ერთად , პედაგოგების მხარდასაჭერად და სასწავლო პროცესების მონიტორინგის მიზნით , აკვირდება გაკვეთილებს და სხვადასხვა აქტივობების მსვლელობას. ეს პროცესი ფასდება სპეციალური დაკვირვების კითხვარის საშუალებით, ხოლო შემდეგ გაკვეთილის გეგმების, პედაგოგის რეფლექსიის, დაკვირვების ფორმის მიხედვით, მხარდამჭერი ჯგუფი უკუკავშირს აძლევს მასწავლებელს, ხდება აზრთა გაზიარება,რეკომენდაციების შემუშავება. მომავალშიც იგეგმება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის მიზნით მონიტორინგი და შეფასება, რაც სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**4.2.3.4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც სასწავლო გარემოს პოზიტიურ კლიმატს კლასის დონეზე განსაზღვრავს არის სკოლის შიდაგანაწესი, რომელიც არეგულირებს იმას, რომ სასკოლო გარემო პოზიტიურია, ურთიერთობები მშვიდი და ჰარმონიულია, დაცულია კომუნიკაციის ფორმები. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის სუფევს მაღალი ურთიერთპატივისცემა და ნდობა. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სკოლისა და კლასის დონეზე გრძნობს პასუხისმგებლობას და ზრუნავს სკოლის განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- კათედრის ოქმები
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა
- ინგლისური ენის კლუბი
- მოსწავლის პროგრესის ამსახველი დოკუმენტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებული აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწოს, სრულყოს და განავითაროს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების პირველი მოდელი. სკოლა აგრეთვე გამოიყენებს დიაგნოსტიკურ შეფასებებს, რომლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა, მოხდება ამ მონაცემების დამუშავება. გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.3.1.1.შესაბამისობაშია სტანდარტთან**

**2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია, რომ მონიტორინგის პროცესი ყურადღებას ამახვილებს მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება კი არკვევს რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რითაც დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლიც აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას, აფასებს და აძლევს სათანადო რეკომენდაციებს სათანადო პროგრესისთვის. სკოლაში დამკვიდრებული ამგვარი მიდგომა დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

**2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას; რომ დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერაც, რა დროსაც ასევე დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები .მონიტორინგის შემდეგ მასწავლებლები მსჯელობდნენ ხარვეზებზე და ისახავდნენ მისი გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ქოუჩინგის შემაჯამებელი ოქმი.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი #1
- სასკოლო სასწავლო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------- ------------------------- -------------------------

- შეფასების სისტემის ვერიფიკაცია
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არამხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებას, საგაკვეთილო შეფასებას, მშობლებთან კომუნიკაციას, გაკვეთილზე ჩართულობას სასწავლო პროექტს, კომპლექსურ დავალებას, არაფორმალური აქტივობები. და ა.შ. აღნიშნულზე დაყრდნობით, მასწავლებლები ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებსა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ისინი გეგმავენ გამოიყენონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკაც. კათედრის წევრები აპირებენ მომავალშიც გამოიყენონ ეს გამოცდილება. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლაში კვლევა და შეფასება ტარდება და წარიმართება სამი მიმართულებით: 1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად 2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის), 3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის), აქედან გამომდინარე, მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების საშუალებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა მიღწევები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

დაკვირვება სასწავლო პროცესზე. არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები, როგორებიცაა: მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**;

სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლე შეფასდეს მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. ამის საშუალებას აგრეთვე იძლევა განხორციელებული პროექტები, კონკურსებში მონაწილეობადა სხვა აქტივობები, რომლებიც მოსწავლეების ჩართულობით ხორციელდება სკოლაში. გარდა ამისა, მოსწავლეებთან მუშაობის დროს ყურადღება ექცევა პოზიტიურ სასწავლო გარემოს, ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობას, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს ისინი ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისიწნებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი, რომელთა დამუშავების და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესს შემდეგი მიმართულებებით სწავლობენ: მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით, თვითშეფასებით, ურთიერთშეფასებით, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით. ამასთან ერთად, სკოლაში იგეგმება სხვადასხვა სასწავლო აქტივობები, რაც მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. შეფასებისას საშუალო საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს. ასევე იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ფორმებს. სკოლის მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ სკოლა მომავალი სასწავლო წლისთვის უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და შეფასებას. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორი 2.3.2.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან**

**2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა ცდილობს მოახდინოს მოსწავლეთა სრულყოფილი შეფასება, მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს მოსწავლეების სრულყოფილი შეფასება გასათვალისწინებელია არა მარტო სასწავლო პროცესები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

არამედ სხვადასხვა სისტემებიდან მთელი რიგი ფაქტორები, როგორიცაა ოჯახი, თემი, ფორმალური და არაფორმალური გარემობები. ამისთვის საჭიროა დაიგეგმოს სხვადასხვა კვლევითი სამუშაოები, გასათვალისწინებელია დრო, გარემო, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგებზე. მშობელთა ჩართულობით, პედაგოგების აზრის გაზიარებითა და თანამშრომლობით, დიფერენცირებული მიდგომები სკოლას დაეხმარება მულტიფაქტორული შეფასების დაგეგმვაში. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა და განვითარების პროცესი. **ინდიკატორი 2.3.2.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო კურიკულუმები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი

- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- შეფასების რუბრიკები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

პედაგოგებთან ინტერვიუს და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადასინჯვა მოხდება საგნობრივ კათედრებზე და საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შეეცდებიან შექმნან გადამუშავებული კურიკულუმები. **2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა ახდენს რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, გამოკვეთს სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს და ა.შ. სასწავლო წლის ბოლოს საშუალო საფეხურის მასწავლებლები აანალიზებენ წინა სასწავლო წლის მონაცემებს, გამოკვეთენ საჭიროებებს ახალი კურიკულუმის შემუშავებისათვის. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაბამისი ცვლილებები. კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------